

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ბერიძე

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და
ბიზნესელიტები საქართველოში (2012-2017 წლები)

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ბიზნეს ელიტების როლი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საქართველოში 2012 წლიდან 2017 წლამდე, განხილულია საერთაშორისოდ აღიარებული ავტორების თეორიები ბიზნეს ელიტებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს შორის კავშირის შესახებ.

ნაშრომში არის მცდელობა რომ მოიძებნოს კორელაცია ბიზნეს ელიტების ინტერესებსა და ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის.

ნაშრომში აქცენტი კეთდება 2012 წლიდან 2017 წლამდე საქართველოში მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, როდესაც ბიზნეს ელიტების ინტერესები გადაიკვეთა სხვა ინტერეს ჯგუფებთან და ეს ორი აქტორი ცდილობდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედებას თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნაშრომის პირველ ნაწილში აღწერილია 2012 წლიდან 2017 წლამდე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები, რაც გამოიხატა ინდუსტრიულ, სამშენებლო თუ საბანკო სფეროებში არსებული პრობლემებით, ამ სამ სფეროში არსებული პრობლემების გარშემო ხშირი იყო საზოგადოებრივი პროტესტი ბიზნეს და სახელისუფლებო ელიტების მიმართ, მაგალითად - საზოგადოებრივი აზრი შეიქმნა ტყიბულსა და ჭიათურაში არსებული სამუშაო პირობების წინამდებ, სადაც ათეულობით მემახტე და მადაროელი შეეწირა გაუმართავ ინფრასტრუქტურას, თბილისში - მშენებლობებზე ათობით ადამიანი დაიღუპა უსაფრთხოების ნორმების არ არსებობის გამო.

ნაშრომის ამ ნაწილში არის მოცემულ პერიოდში (2012-2017 წლები) არსებული ეკონომიკური და საზოგადოებრივი პრობლემების სისტემიზაციის მცდელობა, დეტალურად არის აღწერილი პროტესტის ის მნიშვნელოვანი წერტილები, სადაც ეკონომიკური პოლიტიკით უკმაყოფილო სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფები, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები

ცდილობდნენ საკითხის აქტუალიზებას და პრობლემის ფართო საზოგადოებრივ დისკუსიაში გადატანას.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ბიზნეს ელიტების ზემოქმედების კონკრეტული მაგალითები იმ საჯარო გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიმართაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი წარმოებდა, ეს არის ზემოთხსენებული შემთხვევები ტყიბულსა და ჭიათურაში, რუსთავის აზოტის შემთხვევა, ასევე პროტესტი საბანკო სფეროს მიმართ, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამშენებლო სფეროს, სადაც რეგულაციების სისუსტემ გამოიწვია მსხვერპლი დაღუპული მშრომელების სახით.

2012-2017 წლებში არსებული ეს გამოცდილება შედარებულია საერთაშორისო გამოცდილებასთან.

თემის შესასწავლად გამოყენებულია პირველადი დოკუმენტების, ოპოზიციური თუ სახელისუფლებო პარტიების ლიდერთა მიმართვების, წერილების, ინტერვიუების, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების, ამავე თემაზე გამოცემული ნაშრომების, მედია არქივის ანალიზი. საკითხის შესასწავლად ასევე ჩატარდა ექსპერტული ინტერვიუები.

წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე მკითხველს შესაძლებლობა აქვს დეტალებში გაიცნოს უკანასკნელ წლებში მიმდინარე აქტუალური პრობლემები, შეისწავლოს ინდუსტრიული, საბანკო თუ სამშენებლო ბიზნეს-ელიტების გავლენა საჯარო პოლიტიკაზე.

Annotation

Political Decision-Making Process and Business Elites in Georgia (2012-2017)

Giorgi Beridze

The Master thesis investigates the role of business elites in political decision-making process in Georgia, from 2012 to 2017. Thesis analyzes theories of internationally recognized authors about correlation between political decision-making process and business elites.

There is an attempt in the thesis to find correlation between interests of business elites and political decisions, made by Georgia's government from 2012 to 2017.

The work focuses on widespread political and economic problems in Georgia from 2012 to 2017, when interests of business elites have crossed agenda of various interest groups and those two actors have tried to influence political decision-making process to reach their favourable decision.

In a first part of the work, political and economic issues, representing problems of industrial, construction and banking spheres are described, problems of these three important actors of Georgian economics had often provoked massive protests, which were directed to business and political elites, for example, public opinion had emerged against working conditions in industrial cities of Tkibuli and Chiatura, where dozens of miners have been killed due to faulty infrastructure, dozens of workers have also been killed in Tbilisi, construction areas, due to absence of security norms.

There is an attempt in this part of the work to systemize economic and social problems of a given period (2012-2017), most important centers of the protests are described in details, where different activist groups, representatives of NGO's and international organizations, unhappy with economic policy have tried to actualize concrete cases and make it a subject of public discussions.

In the second part of the work, concrete examples of influence, made by business elites on political decisions are discussed, public interests on these cases were high, those are upgiven cases of Tkibuli and Chiatura, case of Rustavi "Azoti" industry, also the protest against baking

business is analyzed, living apartment construction is also underlined, where lack of regulations have seemingly been a reason of deadly accidents.

This experience of 2012-2017 years are compared to the international experience of the same problems.

To study the issue, I have analyzed primary documents, letters and interviews of opposition and ruling party leaders, reports of international and non-governmental organizations, published scientific works about this problem, various periodicals and other materials from media archive, also expert interviews were conducted for better understanding of the issue.

On the basis of this work, a readers has an opportunity to understand actual problems of last years in details, study industrial, banking and developing business elite's influence of public policy in Georgia.

სარჩევი:

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 7 |
| I თავი. ბიზნეს ელიტებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს შორის კავშირის თეორიული საფუძვლები..... | 19 |
| II თავი. კაპიტალიზმი და ინსტიტუტების მშენებლობა : აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოსტკომუნისტური გამოცდილება (უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მაგალითი) | 30 |
| 2.1 პოსტკომუნისტური აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (უნგრეთი, ჩეხეთი სლოვაკეთი) და საქართველოს ტრანზიციის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები . | 30 |
| 2.2 კომუნიზმის შემდეგ : შრომა პოსტსოციალისტურ პერიოდში | 38 |
| III თავი. საქართველოს პოლიტიკური ეკონომია 2012-2017 წლებში | 42 |
| 3.1 პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ბიზნესელიტები - უახლესი წარსული (2003-2012 წლები)..... | 42 |
| 3.2 სახელმწიფო, ბიზნეს ინტერესები და საზოგადოება : მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები (2012-2017 წლები) | 46 |
| დასკვნა : | 63 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 68 |
| დანართი #1 | 71 |
| დანართი #2 (ცხრილები და რუკები)..... | 76 |

შესავალი

კვლევის აქტუალობა :

ცივი ომის დასრულების შემდეგ, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, ყოფილი სოციალისტური სივრცის ქვეყნები მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნების წინაშე აღმოჩნდნენ, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლა, რაც პირველ რიგში მნიშვნელოვან ცვლილებებს გულისხმობდა ეკონომიკის სფეროში, აღსანიშნავია რომ ეს ქვეყნები იღებენ დემოკრატიის არა კონტინენტურ გამოცდილებას, არამედ ნეოლიბერალურ ტრადიციას.

თავისუფალი ბაზრის ნეოლიბერალური მოდელი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში შეერწყა კულტურულ თავისებურებებს, საბჭოთა ეკონომიკის არაფორმალური ორგანიზების ისტორიულ გამოცდილებას, რამაც საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ პრივატიზაციის პროცესის შედეგად ოლიგარქიული ბიზნეს ელიტების ფორმირებას.

თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოს ახასიათებდა ერთი ძირითადი ტენდენცია - ისინი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ თავისუფალ ბაზარზე, ორიენტირებულები იყვნენ ეკონომიკის მაქსიმალურ დეცენტრალიზაციაზე, რაც პრივატიზაციის უპრეცედენტო მასშტაბებში გამოიხატებოდა.

საკითხი აქტუალურია, ვინაიდან ქართული სახელმწიფო დღემდე ვერ ახერხებს ეკონომიკური პრობლემების დაძლევას, ვერ იმუშავებს მექანიზმებს კეთილდღეობის ელემენტარული სტანდარტების მისაღწევად, ქვეყნის დემოკრატიზაცია ნელი ტემპებით მიმდინარეობს, რიგი კვლევების მიხედვით, საზოგადოებას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნაკლები ნდობა აქვს სხვა ინსტიტუტებთან, მაგალითად საპატრიარქოსთან და ჯართან შედარებით¹.

¹ იხ. "საზოგადოების განწყობა საქართველოში : 2018 წლის მარტის გამოკითხვის შედეგები" https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final.pdf (მოძიებულია 21.04.2018)

ქართული სახელმწიფოს სისუსტე ხელს უწყობს ბიზნესელიტების განსაკუთრებულ სიძლიერეს, რომელიც ხშირად ღიად ზემოქმედებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და ხელს უშლის დემოკრატიის, თანასწორობის, კეთილდღეობის განმტკიცებას ქვეყანაში, შექმნილი მძიმე სოციალური ფონი უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებაზე, ართულებს საზოგადოების ჩართულობას დემოკრატიულ პროცესში, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე.

საქართველოს პოსტკომუნისტური გამოცდილება კვლევაში შედარებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (ჩეხეთის, სლოვაკეთის და უნგრეთის) გამოცდილებასთან, ამ სამმა სახელმწიფომ წარმატებით შეძლო პოსტკომუნისტური ტრანზიციის ეტაპის გადალახვა, ბიზნესელიტები, სახელმწიფო და პროფესიული კავშირები კი ტრანზიციის პირველივე ეტაპზე ახერხებენ წარმატებულ თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა რომ ვაშინგტონის კონსესუსის პირობები ამ სახელმწიფოებსაც ეხებოდა, საქართველოსგან განსხვავებით ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში კაპიტალიზმზე გადასვლას დამანგრეველი შედეგები არ მოჰყოლია, ამიტომ, კვლევაში შესწავლილია ამ სახელმწიფოების წარმატებული ტრანზიციის წინაპირობები, ბიზნეს ელიტებს, სახელმწიფოსა და პროფკავშირებს შორის თანამშრომლობის მაგალითები კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისას, რაც შედარებულია საქართველოს გამოცდილებასთან ანალოგიურ პრობლემებთან მიმართებაში.

საქართველოს კომუნისტური წარსული ბევრად უფრო ახლოს დგას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან, ვიდრე ოფეს, ელსტერის და პროისის აღწერილ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გამოცდილებასთან, თუმცა კვლევისთვის პრიორიტეტი ტრანზიციის პერიოდის განსხვავებული მახასიათებლების შედარებაა, საქართველოს და პოსტ-კომუნისტური ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური წარსულიც კი რიგი მახასიათებლებით განსხვავდებოდა, ამიტომ პრივატიზაციის და საჯარო სიკეთეების გადანაწილების პროცესი, ფენომენის ანალოგიურობის მიუხედავად, განსხვავებულად მიმდინარეობდა, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ტრანზიციის

პროცესის და ბიზნეს ელიტების საქმიანობის როგორც საერთო მახასიათებლების, ასევე განსხვავებების გამოკვეთა ინსტიტუციური თეორიის დახმარებით, შედარების პროცესში გამოყენებულია სკოსპოლის, რაშმაიერის და ევანსის “სახელმწიფოს ავტონომიურობის თეორია” .

საქართველოს სახელმწიფოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნიდან მიგრაცია მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს, მაგალითად, მიგრაციის სახელმწიფო კომისიის ანგარიშის მიხედვით, 2016 და 2015 წლებში, 90 000 - მდე მოქალაქემ დატოვა ქვეყანა (2017 Migration Profile of Georgia, 2017), მოსახლეობის 10% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს². (იხ : დანართი #2)

2012 წლიდან ახალი სახელისუფლებო გუნდი უფრო აქტიურად იწყებს საუბარს სახელმწიფოს როლის გაზრდაზე ქვეყნის განვითარების კუთხით, იქმნება შრომის ინსპექცია, ძლიერდება პროფკავშირები, იმის ფონზე, რომ შრომის ინსპექციის არარსებობის პირობებში 2006 წლიდან დღემდე ასობით მშრომელი დაიღუპა, შრომის ინსპექციის შექმნა პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს.

ახალი რეგულაციების პრაქტიკული დანერგვა კონკრეტულ დაბრკოლებებს გადააწყდა, შრომითი ინსპექციის ამოქმედების გზაზე კონკრეტული პრობლემები შეიქმნა, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი ჯგუფების ნაწილი აკრიტიკებდა ხელისუფლებას შრომის ინსპექციისთვის არასაკმარისი შესაძლებლობების მინიჭების გამო, ხოლო ბანკების მიმართ არასაკმარისი რეგულაციების არსებობაზე ხელისუფლების წარმომადენლებიც საუბრობდნენ.

აღსანიშნავია რომ 2012 წლიდან, მიუხედავად რიგი მნიშვნელოვანი რეგულაციების შემოტანისა, ბიზნეს ელიტები ფაქტობრივად უფრო დაუახლოვდნენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, მილიარდელი, ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი - რომელიც იყო ლიდერი 2012 წლის საარჩევნო კოალიციისა, “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო, 2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2013 წლის ბოლომდე ივანიშვილი იკავებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტს, რის შემდეგაც მან

² იხ. “Share of the population living in extreme poverty, 2014”
<https://ourworldindata.org/grapher/share-of-the-population-living-in-extreme-poverty?tab=map>
(მოძიებულია 23.04.2018)

დატოვა ქართული პოლიტიკა, თუმცა პოლიტიკოსების, ექსპერტების ნაწილი მიუთითებდა მის არაფორმალურ მმართველობაზე.

ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან თვეების შემდეგ, 2018 წლის აპრილში ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა, ის მმართველი პარტიის, “ქართული ოცნების” თავმჯდომარედ აირჩიეს³.

ივნისში, პრემიერ მინისტრის, გიორგი კვიციანიშვილის გადადგომის შემდეგ, “ქართულმა ოცნებამ” პრემიერის პოსტზე ფინანსთა მინისტრი, მამუკა ბახტაძე წარადგინა⁴, ახალი პრემიერი, რომელიც დანიშვნამდე ფინანსთა მინისტრის პოზიციას იკავებდა, ფინანსთა მინისტრობამდე საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი იყო, მისი ადრეული საქმიანობა კი ბიზნესის სფეროს უკავშირდება, საინფორმაციო სააგენტოები მიუთითებენ რომ მამუკა ბახტაძე 2012 წელს “საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის” დირექტორი იყო, ამ ორგანიზაციის 100%-იანი წილის მფლობელი “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფია”⁵, ეს კომპანია უკავშირდება კვლევაში განხილულ ძირითად პრობლემას - ტყიბულსა და ჭიათურაში სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში დასაქმებულთა მდგომარეობას.

კვლევა ფოკუსირდება ბიზნეს ელიტების გავლენაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში 2012 – 2017 წლებში, კვლევის დაწყებიდან

³ იხ. “ბიძინა ივანიშვილი ბრუნდება”

<http://www.newposts.ge/?l=G&id=171187->

<http://www.newposts.ge/?l=G&id=171187-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A1>

(მომიებულია 30.04.2018)

⁴ იხ. “ახალი პრემიერ-მინისტრი - მამუკა ბახტაძემ ოთხპუნქტიანი გეგმა წარადგინა”

<http://www.newposts.ge/?l=ge&id=176108->

<http://www.newposts.ge/?l=ge&id=176108-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94,%20%E1%83%92%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90>

(მომიებულია 20.06.2018)

⁵ იხ. “თუ ბახტაძემ ენმ-ს სხვისი თანხა შესწირა, 40 000-ით უნდა დაჯარიმდეს”

<https://commerciant.ge/ge/post/tu-baxtadzem-enm-s-sxvisi-tanxa-sheswira-40-atasit-unda-dadjarimdes>

(მომიებულია 20.06.2018)

⁶ იხ. “რას საქმიანობდა მამუკა ბახტაძე, როცა ენმ-ს 20 000 შესწირა”

<http://netgazeti.ge/news/285617/>

(მომიებულია 20.06.2018)

მაღევე ქართულ პოლიტიკაში საქართველოს უმდიდრესი ადამიანის, ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება, ისევე როგორც “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” ყოფილი წარმომადგენლის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე წარდგენა მმართველი პარტიის მიერ ადასტურებს საკვლევი საკითხის აქტუალურობას.

კვლევის მიზნები :

კვლევაში გამოკვეთილია ორი ძირითადი მიზანი, ეს მიზნები, თავის მხრივ, განაპირობებენ კვლევის სტრუქტურულ/შინაარსობრივ თანმიმდევრობას.

კვლევის პირველი მიზანია ბიზნესელიტების როლის შესწავლა და საქართველოს ეკონომიკასა და პოლიტიკურ სისტემაში ამ ელიტების ფუნქციების იდენტიფიცირება 2012-2017 წლებში. მოცემული მიზანი კვლევას სასიცოცხლო ინფორმაციით გაამდიდრებს და დაგვებმარება ბიზნეს ელიტების გარშემო ძირითადი ცოდნის შეგროვებასა და გამოყენებაში.

კვლევის მეორე მიზანია ბიზნეს ელიტებსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კორელაციის შესწავლა, რის შედეგადაც დავინახავთ თუ როგორ მოქმედებენ ბიზნეს ელიტები, როდის იყენებენ ისინი საკუთარ ძალაუფლებას, ხელისუფლების რომელ შტოებზე ახდენენ გავლენას და რა მექანიზმებით მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კვლევის ამოცანები :

კვლევის მიზნების მისაღწევად საჭიროა რიგი ამოცანების შესრულება :

- მონოპოლიების შესახებ კლასიკური ლიბერალური თეორიების შესწავლა, მათი ანალიზი და საკვლევ საკითხთან მისადაგება.
- რეგულაციების შესახებ არსებული კლასიკური თეორიების შესწავლა, მათი ანალიზი და საკვლევ საკითხთან მისადაგება
- ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს დოკუმენტების, ამ სამინისტროების ხელმძღვანელების საჯარო გამოსვლების/მიმართვების ანალიზი

- უნგრეთის, ჩეხეთის და სლოვაკეთის პოსტ-კომუნისტური ტრანზიციის საერთო მახასიათებლების შესწავლა და საქართველოს მაგალითთან შედარება
- საქართველოში შრომის ინსპექციის შემაფერხებელი ფაქტორების გამოკვეთა, ინსპექციის გარშემო მიმდინარე მსჯელობების შესწავლა.
- 2012-2017 წლებში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების შესწავლა .

საკვლევი კითხვები :

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საკვლევი კითხვები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს :

1. როდის ახდენენ ბიზნესელიტები გავლენას სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე ?
2. რა მექანიზმებს იყენებენ ბიზნესელიტები ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზემოქმედების მიზნით ?

ჰიპოთეზა :

1. როდესაც იზრდება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ინტერვენციის საჭიროება, ძლიერდება ბიზნესელიტების გავლენა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე
2. ბიზნესელიტები გავლენას ახდენენ ეკონომიკურ პოლიტიკაზე სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის, ლობიზმის და კორუფციული გარიგებების საშუალებით

ცვლადები :

- 1) დამოუკიდებელი - სახელმწიფოს ეკონომიკაში ინტერვენციის საჭიროება
- 2) შუამავალი - ბიზნესელიტები
- 3) დამოკიდებული - ეკონომიკური პოლიტიკა

თეორიული ჩარჩო

ნაშრომის თეორიული მხარე დიდწილად ეყრდნობა ტედა სკოკპოლის, დიტრიხ რაშმაიერის და პეტერ ევანსის ნაშრომის "სახელმწიფოს უკან დაბრუნება (Bringing The State Back In), მეორე თავში 'სახელმწიფო და ეკონომიკური

ტრანსფორმაცია: ეფექტური ინტერვენციის შეფარული პირობების ანალიზი” (Evans & Rueschemeyer, 1985) განვითარებულ “სახელმწიფოს ავტონომიურობის თეორიას” სადაც ევანსი და რაშმაიერი ანვითარებენ მსჯელობას სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გარშემო.

ავტორების ხედვებზე დიდი გავლენა აქვს სახელმწიფოს ვებერიანულ თეორიას, რაც გულისხმობს იმას, რომ ავტორები აღიარებენ სახელმწიფოს, როგორც ძალაუფლების მქონე ორგანიზაციათა ერთობას, სადაც მიიღება გადაწყვეტილებები იმ ხალხის და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იურიდიულად არსებობენ კონკრეტულ ტერიტორიაზე და რომელზეც ამ ერთობას გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია შეუძლია, ხშირად - ძალის საშუალებითაც კი (Evans & Rueschemeyer, 1985, გვ. 47).

ევანსის და რაშმაიერის თეორია სახელმწიფოს მხოლოდ ვებერიანული დეფინიციით არ შემოიფარგლება, ავტორები სახელმწიფოს არ უყურებენ როგორც მხოლოდ ბიუროკრატიას, ავტორები მიუთითებენ რომ სახელმწიფო მუდმივად გამოხატავს წინამდებეობრივ ტენდენციებს, შესაბამისად, ავტორები არ აპირებენ ამ წინამდებეობების დაძლევის გზის წინასწარ განსაზღვრას, ევანსი და რაშმაიერი მიუთითებენ რომ სახელმწიფო ხშირად დომინაციის ინსტრუმენტია, რომელიც ერთი მხრივ სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ნაწილის და მეორე მხრივ, ყველაზე ძლიერი კლასების ხელშია მოქცეული, სწორედ ეს ორი აქტორი განსაზღვრავს “დომინაციის პაქტის” ხასიათს (Evans & Rueschemeyer, 1985, გვ. 47).

რაშმაიერი და ევანსი საუბრობენ კაპიტალისტურ სახელმწიფოზე, როგორც სახელმწიფო აპარატის და დომინანტი პოლიტიკური კლასების დომინაციის ინსტრუმენტზე, ამ მსჯელობას კვლევისთვის უმნიშვნელოვანესი თეორიული ხასიათი აქვს, თუ კვლევის პერიოდის (2012-2017 წლები) საქართველოს ამ თეორიის მიხედვით განვიხილავთ, დავინახავთ რომ დომინანტი პოლიტიკური კლასები (ბიზნესმენები საბანკო თუ ინდუსტრიული სფეროდან, სხვადასხვა ოლიგარქი) და სახელმწიფო აპარატი რეალურად იმყოფებიან რაშმაიერის და ევანსისეულ “დომინაციის პაქტში”.

მართალია, ქართული რეალობა პოსტკომუნისტური ტრანზიციების და გადანაწილებების შედეგია, თუმცა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე “დომინაციის პაქტის” ნეგატიური გავლენის თეორიის მორგება საქართველოს სახელმწიფოს უახლეს წარსულთან, ვფიქრობ სრულიად დასაშვებია.

“დომინაციის პაქტის” თანმდევი რეალობის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად, რაშმაიერი და ევანსი მიუთითებენ, რომ სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს დომინანტი კლასებისგან “შედარებითი ავტონომიურობის” გარკვეულ ხარისხს, რათა შეძლოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელება, ავტორების მიხედვით, დომინანტი კლასებისგან ავტონომიურობა კი კონკრეტულ პირობებში ეფექტურობის შანსებს ზრდის (Evans & Rueschemeyer, 1985, გვ. 49).

როგორ შეგვიძლია გავიგოთ სახელმწიფოს ავტონომიურობის ფენომენი, რაც ავტორებს ალტერნატიული პოლიტიკის შემუშავების საშუალებად მიაჩნიათ? ქართული რეალობის კვლევის პროცესში “სახელმწიფოს ავტონომიურობის” ფენომენი შეგვიძლია გავაანალიზოთ როგორც სახელმწიფოს თანამედროვე ფუნქციების აბსოლუტური ცვლილება, მისი დაცლა “დომინაციის პაქტის” სტატუს-კვოსგან და სახელმწიფო აპარატის საზოგადოებრივი სიკეთეების წარმოებაზე მორგება.

2012-2017 წლებში, საქართველოს ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მუდმივად იყო კრიტიკა არაეფექტური მმართველობის გამო, “შრომის ინსპექციის” დანერგვის თანმდევი დაბრკოლებები კი ხშირად, აღქმული იყო როგორც ბიზნეს-ელიტების ინტერესების გათვალისწინება ხელისუფლების მიერ, ჩემი კვლევის მთავარი ამოცანაც ბიზნეს-ელიტების პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესზე გავლენას უკავშირდება, ევანსი და რაშმაიერი ამ ტენდენციის უამრავ ნეგატიურ მხარეს წარმოაჩენენ, პირველ რიგში კი იმ არაეფექტურობას უსვამენ ხაზს, რაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების დროს სახელმწიფოს სისუსტიტაა გამოწვეული. ეფექტური ქმედებების განსახორციელებლად კი საჭიროა სახელმწიფოს ავტონომიურ ცვლადად დაფიქსირება, რომელიც “დომინაციის პაქტის” ფარგლებიდან გამოვა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ, ავტონომიურ როლს დაიკავებს.

ავტორთა მოსაზრებით სახელმწიფოს ავტონომიურობა ეფექტური სახელმწიფო ქმედებების წინაპირობაა, სოციოეკონომიკური სისტემის გამართული მუშაობისთვის კი კაპიტალის გარკვეული სეგმენტის ინტერესები უნდა გაიწიროს (Evans & Rueschemeyer, 1985, გვ. 60).

კაპიტალის გარკვეული სეგმენტი ნაშრომში იდენტიფიცირებულია როგორც ის ბიზნეს ელიტები, რომლებიც 2012-2017 წლებში საქართველოში შექმნილი სოციალური კრიზისების აქტორებად გვევლინებოდნენ (სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, საბანკო ელიტები, სამშენებლო დეველოპერული კომპანიები), რაშმაიერის და ევანსის თეორიაში ამ სეგმენტის მიერ საზოგადოებრივი სიკეთეების დისტრიბუციისადმი ნეგატიური დამოკიდებულება კარგად აღქმადია, ისევე როგორც ნათელია ქართული ბიზნეს-ელიტების ნეგატიური გავლენა საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებზე, ამ შემთხვევაში დაბალი შემოსავლების მქონე ფენაზე.

რაშმაიერი და ევანსი წერენ, რომ სახელმწიფოს ავტონომიურობის ზრდას შეუძლია გამოიწვიოს “დომინაციის პაქტის” შემადგენელი ცვლადების მშვიდობიანი გადაჯგუფება ძალაუფლების გამმიჯნავ ხაზებს მიღმა, სადაც ქვემოდან მომავალი საფრთხეები აიძულებენ დომინანტ კლასებს სახელმწიფოსთვის მეტი ავტონომიურობის მინიჭებას, ანუ სადაც დაქვემდებარებული კლასები აღწევენ საკმარის ძალას, რომ დაბლოკონ დომინანტი კლასების მონოლითური პოლიტიკური კონტროლი (Evans & Rueschemeyer, 1985, გვ. 64).

“სახელმწიფოს ავტონომიურობის თეორია” კვლევაში გამოყენებულია როგორც არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივა, ეს თეორია და ასევე “დომინაციის პაქტის” კონცეფცია და გამოყენებულია ბიზნეს ელიტების და ხელისუფლების ურთიერთობის ნეგატიური საზოგადოებრივი შინაარსის დანახვისთვის საქართველოს მაგალითზე.

სკოპოლის, რაშმაიერის და ევანსის ნაშრომიდან “სახელმწიფოს ავტონომიურობის თეორია” მოვარგე 2012 დან 2017 წლამდე საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ემპირიულ მასალას, თეორიის ძირითადი ცვლადები: სახელმწიფო, კაპიტალი და საჯარო

სიკეთეები შინაარსობრივად ზუსტად ერგება საკვლევ საკითხს და ეხმარება კვლევას ემპირიული მასალის სისტემიზაციაში.

მეთოდოლოგია

საქართველოში 2012-2017 წლებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესის და მათზე ბიზნეს ელიტების გავლენის შესასწავლად პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ თვისებრივი კვლევის მეთოდი.

- მეორადი წყაროების და ლიტერატურის ანალიზს, კონკრეტულად საქართველოს პოლიტიკური ეკონომიის, საჯარო პოლიტიკის, ასევე ბიზნეს ელიტების და ოლიგარქიის ფენომენის შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლა.
- პირველადი წყაროების ანალიზი (ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს დოკუმენტების, ამ სამინისტროების ხელმძღვანელების საჯარო გამოსვლების/მიმართვების ანალიზი).
- საკრებულოების, უმაღლესი თანამდებობის პირების, ადგილობრივი თუ ცენტრალური სახელისუფლებო შტოს იმ გადაწყვეტილებების ანალიზი, რომლებიც მიიღებოდა ბიზნეს ელიტების სასარგებლოდ 2012 დან 2017 წლამდე.
- “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო პროგრამების (2012 წლის და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები) ანალიზი.
- ბიზნეს ელიტების ინტერესებსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კორელაციის ანალიზი ხელისუფლების მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე.
- 2012-2017 წლებში მიმდინარე მნიშვნელოვანი საპროტესტო მოძრაობების, გამოსვლების, გაფიცვების დროს წარმოებული პოლიტიკური მოთხოვნების შესწავლა, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული.

- კვლევაში გამოყენებულია შედარებითი მეთოდიც, სადაც შედარებულია სხვა პოსტკომუნისტური სახელმწიფოების (უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი) ანალოგიური პრობლემები საქართველოს მაგალითთან, ექსპერტ ინტერვიუები

ლიტერატურის მიმოხილვა

დარონ აჩემოღლუს და ჯეიმს რობინსონის “დიქტატურის და დემოკრატიის ეკონომიური საფუძვლები” (Acemoglu & Robinson, 2006) კვლევისთვის უმნიშვნელოვანესი შევსებაა, მასში აქცენტი კეთდება კეთილდღეობის გადანაწილების, უთანასწორობის პრობლემებზე, თანამედროვე დემოკრატიების უდიდეს გამოწვევებზე რაც განპირობებულია ეკონომიკური უთანასწორობებიდან ამოზრდილი განსხვავებული იდენტობებით, ამის მიზეზი აჩემოღლუს და რობინსონის მიხედვით პოლიტიკური კლასია, რომელიც აფერხებს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და საზოგადოების დემოკრატიულ კონსოლიდაციას.

ძალიან მნიშვნელოვანია ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორანტის, ქრისტიან ტიმის კვლევა “ეკონომიკური რეგულაციები და სახელმწიფო ინტერვენციები - საქართველოს გადასვლა ნეოლიბერალიზმიდან სახელმწიფოს მიერ მართულ კაპიტალიზმზე” (Timm, 2013), სადაც აღწერილია როგორც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მომხდარი ტრანსფორმაცია 2012 წელს, ასევე 2012 წლამდე “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მმართველობის დროს გატარებული ეკონომიკური რეფორმები და სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ პროცესებში, ასევე ის არაფორმალური სახლისუფლებო ინსტიტუტები რომლებიც ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ჩრდილში შეიქმნა, ნაშრომი მდიდარია სახელმწიფოს ბიზნესთან არაჯანსაღი ურთიერთობის პროტექციონიზმის, კორუფციის აღმნიშვნელი ფაქტებით და კვლევისთვის ამ მხრივ მნიშვნელოვანი შევსებაა.

რეგულაციის ფენომენის შესახებ ზემოთხსენებული ავტორებისგან ალტერნატიული პოზიციების გამოყენებისთვის, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რელევანტური ავტორი - ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსი, ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი ჯორჯ სტიგლერია, რომელიც საკუთარ ნაშრომში “ეკონომიკური

რეგულაციების თეორია” (Stigler, 1986), ამტკიცებს რომ სახელმწიფოს მიერ რეგულაციების დაწესება ხშირად კონკრეტული სამიზნეების წინამძღოლად კონკრეტული ჯგუფების ინტერესებით არის განპირობებული.

სტიგლერის ნაშრომების კრებულში, “The Essence of Stigler” (Moore & Leube, 1986) ხუთ ნაწილად არის დაყოფილი ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორებიცაა ოლიგოპოლია, დომინანტი ფირმების პრობლემები, რეგულაციების ფენომენი, მინიმალური ხელფასის ფენომენი, ეს ნაშრომი დამეხმარა იმ ნორმატივებზე გასვლაში, რაც ლიბერალი ეკონომისტების მიხედვით, კაპიტალიზმის წარმატებისთვის არის აუცილებელი, რაც შემდეგ შევადარე 2012 წლიდან 2017 წლამდე საქართველოში არსებულ რეალობას, რა თქმა უნდა სტიგლერის მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემები ქართულ რეალობაშიც არსებობდა, ამიტომ, ავტორის ეკონომიკურ თეორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კვლევაში.

ჯონ ელსტერის, კლაუს ოფეს და ულრაიხ პროისის “პოსტკომუნისტური საზოგადოებების ინსტიტუციური ფორმირება” (Elster, Offe, & Preuss, 1998) ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის სამი სახელმწიფოს: ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის მაგალითებს განიხილავს კაპიტალიზმის მშენებლობის და სოციალური პოლიტიკის შემუშავების კონტექსტში. ნაშრომში უდიდესი მნიშვნელობა ექცევა ამ სამი სახელმწიფოს კომუნისტურ გამოცდილებას და აქცენტი ეკონომიკურ ინტერესებზე, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, კომუნისტური ეკონომიკის დანატოვარის, ინდუსტრიული სექტორის ბედზე და იმ ახალ კლასობრივ კონფლიქტებზე კეთდება, რაც ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში გაჩნდა ამ სამ სახელმწიფოში.

ბრაიან ბერის “სამართლიანობა, როგორც მიუმხრობლობა” გვთავაზობს სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ პროცესში პოზიციონირების გარშემო მსჯელობას, ავტორზე დიდი გავლენა აქვს როულსის “სამართლიანობის თეორიას” ეს ნაშრომი “სამართლიანობის თეორიის” გამოცემიდან 24 წლის შემდეგ დაიბეჭდა, შესაბამისად, ბერი პრობლემების ახლებურ ხედვას და სამართლიანობის თეორიაზე დაყრდნობით ახალ თეორიასაც გვთავაზობს - “მიუმხრობლობის თეორიას” (Barry, 1995).

I თავი. ბიზნეს ელიტებსა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს შორის კავშირის თეორიული საფუძვლები

საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება, რომ დასავლეთში კაპიტალიზმის პირველი კრიზისის შემდეგ (დიდი დეპრესია), პირველად გაჩნდა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე შემუშავებული ალტერნატივები, სადაც გამოკვეთილი იყო სახელმწიფოს, როგორც კეთილდღეობის მწარმოებლის ფუნქცია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის ინდუსტრიულ სახელმწიფოებში ჯონ მეინარდ კეინზის ეკონომიკურმა თეორიებმა პრაქტიკული განხორციელება ჰპოვეს. დასავლურ სახელმწიფოებში ეს პერიოდი ცნობილია როგორც “კაპიტალიზმის ოქროს ხანა”, როდესაც სახელმწიფოს ინტერვენციონისტული პოლიტიკით მიღწეული იყო უმუშევრობის დაბალი და ინფლაციის ზომიერი მაჩვენებლები.

კეინზის მთავარი მეთოდი, რაც, მისი აზრით, კაპიტალიზმს თავიდან აარიდებდა კრიზისებს, იყო მონეტარული პოლიტიკის კონტროლით და ინფრასტრუქტურაში სახელმწიფოს ინვესტირებით სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ჯოზეფ შუმპეტერი კეინზის მთავარ ნაშრომს, “დასაქმების, ფულის და ინტერესის მთავარი თეორია” აფასებდა, როგორც 30-იანი წლების გამორჩეულ ნაშრომს, რომელიც ათწლეულზე მეტი დომინირებდა ანალიტიკურ ველზე (Schumpeter, 1954, გვ. 39).

მეორე მსოფლიო ომის თანმდევი ეკონომიკური ბუმის დასრულების შემდეგ, ინფლაციის მაღალი მაჩვენებლებით შექმნილ კრიზისს მოჰყვა დერეგულაციური პოლიტიკის დაბრუნება დასავლეთში, რაც უკავშირდება ნეოლიბერალური ეკონომიკის ისეთი ცნობილი თეორიტიკოსების ნაშრომებს, როგორებიცაა ფრიდრიხ ჰაიეკი, მილტონ ფრიდმანი, ლუდვიგ ვონ მიზესი, ფრენკ ნაითი, ჯორჯ სტიგლერი და ა.შ.

ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა გაატარეს დიდ ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერმა და აშშ-ში რონალდ რეიგანმა. ნეოლიბერალიზმი გავლენას ახდენს კონტინენტური ევროპის დღის წესრიგზეც, 1989წლიდან, კი განვითარებადი ქვეყნებისთვის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის

მაღლისხმევით, ვაშინგტონში მუშავდება განვითარების ათ პუნქტიანი გეგმა, რომელის განხორციელების რეკომენდაციასაც ეს ორგანიზაციები განვითარებულ ქვეყნებს ფინანსური დახმარების სანაცვლოდ უწევდნენ, კომუნისტური სამყაროს რღვევის კვალდაკვალ, "ვაშინგტონის კონსესუსი" - ეს ტერმინი პირველად კონსესუსის ათი პუნქტის ავტორმა, ეკონომისტმა ჯონ უილიამსონმა გამოიყენა, გავლენას ახდენს პოსტკომუნისტური ევროპის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ვაშინგტონის კონსესუსში სადაც ნეოლიბერალური პოლიტიკის შემუშავების ვალდებულებები ათ პუნქტადაა გაწერილი, ავალდებულებს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის პოსტკომუნისტურ სამყაროს და საქართველოს, ამ ღირებულებების გაზიარებას.

ეს პუნქტებია : 1) ფისკალური დისციპლინის მიღწევა. 2) სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტების გადახედვა. 3) საგადასახადო რეფორმა. 4) საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაცია. 5) კონკურენტუნარიანი გაცვლითი კურსის მიღწევა. 6) ვაჭრობის ლიბერალიზაცია. 7) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების(FDI) წახალისება. 8) პრივატიზაცია. 9) დერეგულაცია. 10) საკუთრების უფლება

ჯოსეფ შტიგლიცის და ნარსის სერას მიერ შედგენილ სემინარების კრებულში : "ვაშინგტონის კონსესუსი : ხელახალი გააზრება" "Washington Concensus Reconsidered" (Stiglitz & Serra, 2008) კონსესუსის ისტორიული მიმოხილვისას, სტატიაში - "ვაშინგტონის კონსესუსის მოკლე ისტორია" (Williamson, 2008) კონსესუსის 10 პუნქტის ავტორი, ჯონ უილიამსონი ზემოთ აღნიშნული პუნქტების რეალიზების პროცესს აკრიტიკებს და საუბრობს იმ უარყოფით შედეგებზე, რაც ხშირად რეფორმების დაჩქარებული წესით იმპლემენტაციას მოსდევდა.(Williamson, 2008, გვ. 16-17).

ავტორი წერს, რომ ფისკალური დისციპლინის რეფორმამ დიდწილად ზიანი მიაყენა ღარიბებს, ვინაიდან მდიდრებისთვის თანხების საზღვარგარეთ გადამალვა პრობლემას არ წარმოადგენდა, სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტების გადახედვამ უილიამსონის მიხედვით, გამოიწვია მთელი რიგი საჯარო სიკეთეების განადგურება, არადა კონსესუსის შედგენისას, ეს პუნქტი ითვალისწინებდა ღარიბების მხარდამჭერ, ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ რეფორმას, საპროცენტო განაკვეთების

ლიბერალიზაციის პუნქტიც ავტორის აზრით, არასწორად ინტერპრეტირდა და ამ პუნქტის მიზანი მხოლოდ ფინანსური ლიბერალიზაცია იყო, კონკურენტუნარიანი გაცვლითი კურსი - შეიძლება ითქვას რეალობაში არასდროს განხორციელებულა, ავტორის თქმით, აშშ-ს ხელისუფლება ჯერ კიდევ მის მიერ კონსესუსზე მუშაობისას ემხრობოდა "ორი უკიდურესობის დოქტრინას" რის მიხედვითაც, ზოგ ქვეყანას გამოუვიდოდა ვალუტის კურსის კონტროლი, ზოგ ქვეყანაში კი ჰიპერინფლაცია იქნებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისება ავტორის მიხედვით, გამიზნული იყო განვითარების პარტიკულარული პროგრამებისთვის, თუმცა მისი ინტერპრეტაცია აგრეთვე ხშირად არასწორი გზით მოხდა და გამოყენებულ იქნა უცხოური ფინანსური კაპიტალის მარტივი მობილობისთვის.

ავტორი აგრეთვე მიუთითებს დერეგულაციის პუნქტის არასწორ ინტერპრეტაციაზე, რიგ ქვეყნებში დერეგულაციის პოლიტიკამ გამოიწვია რიგი გარემოს დაცვითი რეგულაციების გაუქმება, რამაც ეკოლოგიური პრობლემების რიცხვი გაზარდა, საკუთრების უფლების პუნქტი კი უილიამსონის მიხედვით არაფორმალური სექტორის ფორმალურ ეკონომიკაში შემოყვანაზე იყო გათვლილი.

უილიამსონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პრივატიზაციის პუნქტს, ავტორის მიხედვით, ამ პუნქტზე მუშაობის დროს, გათვალისწინებული იყო ის პოზიტიური შედეგები, რაც პრივატიზაციის პოლიტიკამ მოიტანა ტექნიკის ეპოქაში, განვითარებად ქვეყნებში კი პრივატიზაციის პროცესს ორი ტენდენცია ახასიათებდა, ერთის მხრივ, პრივატიზაცია ამართლებდა თუ ის სწორად ხორციელდებოდა, თუმცა პრივატიზაცია ზოგჯერ უკიდურესად კორუფციული სქემებისთვისაც გამოიყენებოდა, როდესაც ქონება პრივილეგირებულ ელიტებს გადაეცემოდა შეუსაბამო ფასებში (Williamson, 2008, გვ. 17).

ჯორჯ სტიგლერის "ეკონომიკური რეგულაციების თეორია", რომელიც 1971 წლით თარიღდება, არის სახელმწიფოს და ეკონომიკურ რეგულაციებს შორის კორელაციის მიზეზების პოვნის შთამბეჭდავი მცდელობა, სადაც ავტორი ანვითარებს აზრს, რომ ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ, შედის დიდი კომპანიების ინტერესებში და ემსახურება მათ

სარგებელს, და ძლიერი კონკურენტების ჩამოშორების საჭიროებითაა ნაკარნახევი(Stigler, 1986, გვ. 243).

სტიგლერი სკეპტიკურად უყურებდა სახელმწიფოს ინტერვენციონისტულ ფუნქციებს, და მიიჩნევდა, რომ ის ბიზნესები, რომლებიც ხელისუფლების სიმპათიებით სარგებლობდნენ, მოცემულ მდგომარეობას არა პირდაპირი ფინანსური წარმატებისთვის, არამედ კონკურენტების ბაზარზე შემოსვლის პრევენციისთვის იყენებდნენ (Stigler, 1986, გვ. 245).

ჩემს კვლევაში ვცდილობ რომ საქართველოში 2012 წლიდან 2017 წლამდე გატარებული რეგულაციები გაანალიზდეს სახელმწიფოს და ბიზნესს შორის კორელაციის სტიგლერისეული ხედვების დახმარებით, დადგინდეს, იყო თუ არა საკვლევ პერიოდში გატარებულ მნიშვნელოვან რეგულაციებში ფავორიტიზმის გავლენები და თუ იყო, რა ეფექტი ჰქონდათ ამ კონკრეტულ რეგულაციებს საზოგადოებაზე.

დარონ აჩემოღლუს და ჯეიმს რობინსონის ნაშრომი, "დემოკრატიის და დიქტატურის ეკონომიკური საფუძვლები" გვთავაზობს კაპიტალის (იგივე ბიზნეს ელიტები), სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთქმედების განხილვას დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი სახელმწიფოების მაგალითზე, ავტორები წერენ რომ "დემოკრატიზის კონსოლიდირება შესაძლებელია როცა ელიტებს არ აქვთ მოტივაცია მისი განადგურების, დემოკრატიის კონსოლიდირების პროცესი დამოკიდებულია: 1) სამოქალაქო საზოგადოების სიმძლიერეზე 2) პოლიტიკური ინსტიტუტების სტრუქტურაზე 3) პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების ბუნებაზე 4) ეკონომიკური უთანასწორობის დონეზე 5) ეკონომიკის სტრუქტურაზე და 6) გლობალიზაციის ფორმაზე და მასშტაბებზე"(Acemoglu & Robinson, 2006, გვ. 1).

მნიშვნელოვანია ავტორების მსჯელობა პოლიტიკური ელიტების შესახებ, რაც 2012-2017 წლებში, საქართველოში მიმდინარე სოციალური პროტესტების ანალიზისთვის არის გამოყენებული კვლევაში. აჩემოღლუ და რობინსონი მიიჩნევენ, რომ არადემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში, სადაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა დემოკრატიზაციის პროცესი, საჯარო გადაწყვეტილებები მუდმივად ელიტების სასარგებლოდ მიიღება. იქ სადაც დემოკრატია არ არსებობს, მეტია შანსი

იმისა, რომ სიტუაცია ელიტების სარგებლის მაქსიმალიზაციისკენ იყოს მიმართული, შესაბამისად, მუდმივად იარსებებენ მოქალაქეები, ვისაც ენდომება შეცვალოს სისტემიდან წამოსული პოლიტიკა ისევე როგორც მთლიანად რეჟიმი. ის, რაც ამ ხალხს აჩერებს, არის ელიტების ხელში თავმოყრილი პოლიტიკური ინსტიტუტები და ძალაუფლება (Acemoglu & Robinson, 2006, გვ. 120).

აჩემოღლუს და რობინსონის მიხედვით, პოლიტიკურ რეპრესიები, რაც გარკვეული მოძრაობების წინააღმდეგ გამოიყენება, ეკონომიკური სტრუქტურის გავლენით არის ნაწარმოები, რეპრესიები ელიტებს გარკვეული საფასური უჯდებათ, რაც დამოკიდებულია მათი შემოსავლის წყაროზე, მდიდრდებიან ისინი ინდუსტრიული კაპიტალით თუ მდიდრდებიან ისინი მიწის საკუთრებით.

საკუთრების ამ ორ ტიპს შორის (მიწა და კაპიტალი) განსხვავებას ავტორები ხსნიან იმით, რომ რევოლუციის საფრთხე და მოქალაქეთა ამბოხება ინდუსტრიალისტებს უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე მიწის მესაკუთრეებს, სწორედ ამიტომ, როდესაც მიწის საკუთრებიდან შემოდის შემოსავლის ძირითადი ნაწილი ელიტებისთვის, ისინი მზად არიან რეპრესიებისთვის, რათა თავიდან აიცილონ დემოკრატია, ხოლო იმ საზოგადოებაში, სადაც ინდუსტრიული კაპიტალიდან შემოდის ელიტების შემოსავლის უდიდესი ნაწილი, რეპრესიების საფასური აღემატება დემოკრატის საფასურს და ელიტები მზად არიან წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე უკმაყოფილო მოქალაქეების მიმართ, ვიდრე გამოიყენონ ძალაუფლება მათ წინააღმდეგ (Acemoglu & Robinson, 2006, გვ. 293).

აჩემოღლუს და რობინსონის რეპრესიების და ღიაობის პრინციპები კვლევაში გამოვიყენე 2012 წლიდან 2017 წლამდე მიმდინარე გაფიცვების ანალიზისთვის, სადაც გამოკვლეულია როგორც ფინანსური კაპიტალის წარმომადგენელი - საქართველოს ბანკი, ასევე ინდუსტრიული კაპიტალის წარმომადგენელი - "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი", განხილულია ამ ორი კომპანიის მიერ გადადგმული ნაბიჯები 2012 წლიდან 2017 წლამდე არსებულ კრიზისულ სიტუაციებში.

ბრაიან ბერი საკუთარ ნაშრომში: "სამართლიანობა, როგორც მიუმხრობლობა" წერს, რომ კეთილდღეობის განაწილების პროცესში სახელმწიფომ უნდა დაიკავოს ის

პოზიცია, რაც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მხარეების ინტერესებს და არ უნდა მიემხროს რომელიმე აქტორს მეორის საწინააღმდეგოდ.

ბერი, ისევე როგორც რაშმაიერი, სკოკპოლი და ევანსი მიუთითებს ვებერის ბიუროკრატიულ მოდელზეც, რომელსაც შეუძლია ზედმიწევნით კარგად შეასრულოს მიუმხრობლად, ავტონომიურად სახელმწიფოსთვის განსაზღვრული ფუნქციები. ჩემი კვლევა ამ ნაშრომმა გაამდიდრა კეთილდღეობის გადანაწილების, მხარეთა ინტერესების აგრეგაციის, უტილიტარული შედეგის დადგომაში სახელმწიფოს მიუმხრობელი პოზიციების შესახებ მსჯელობებით. კვლევაში შესწავლილ პრობლემებს ბერის "მიუმხრობელი" სახელმწიფოს კონცეფცია შევუსაბამე როგორც ბიზნეს ელიტების ნეგატიური როლის ალტერნატივა (Barry, 1995).

ჯონ ფიქსის და ადრიან სმითის მიერ შედგენილი სტატიების კრებული : "ტრანზიციის თეორიზება : პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციების პოლიტიკური ეკონომია" "Theorising Transition : The Political Economy of Post-Communist Transformations" (Smith & Pickles, 1998) უმნიშვნელოვანესი თეორიული შევსებაა ნებისმიერი პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოს ეკონომიკის პოლიტიკური ანალიზისთვის, ამ შემთხვევაში საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომი ხუთ ნაწილად არის დაყოფილი, სადაც სხვადასხვა მკვლევარი განიხილავს კომუნისტური სივრცის ტრანსფორმაციას 80-იანი წლებიდან, ნაშრომის მეხუთე თავი კვლევაში გამოყენებული არ არის, ვინაიდან ეს თავი ეხება აღმოსავლეთ აზიის მაგალითებს, პირველი ოთხი თავი კი მოიცავს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოების ტრანზიციის შესახებ თეორიულ მსჯელობებს, ტრანზიციის აგრარულ და ინდუსტრიულ განზომილებებს, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობების, პოსტ-კომუნისტური იდენტობების ანალიზს, ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული დასავლური სამყაროს, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფოების როლი პოსტ-კომუნისტური სივრცის ტრანსფორმაციაში.

ნაშრომის მეორე თავში : "კაპიტალიზმის რეგულირება და ინსტიტუციონალიზაცია : აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტრანსფორმაციის სათავეებთან" (Smith & Swain, 1998), ავტორები წერენ, რომ კომუნისტური სივრცის

რღვევის და მისი თანმდევი პრობლემების სისტემიზაცია შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც რეგულაციების და მმართველობის მექანიზმების კრიზისი და კოორდინირებული სტრატეგიული მოქმედების განხორციელების უუნარობა, მოსაზრება, რომ ახალი ინსტიტუციონალიზმის შეთავსება ხდება და შესაძლებელია, კომუნისტური სივრცის "რევოლუციებიდან" მოკლე პერიოდში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყნების მაგალითთან, ავტორების მიხედვით მცდარია (Smith & Swain, 1998, გვ. 36).

ავტორების თქმით, საბჭოთა სისტემამ მცირე შესაძლებლობა დატოვა სოციალური ინსტიტუციებისთვის, რაზეც შეიძლებოდა კოლექტიური სტრატეგიული მოქმედების დაშენება, რეგიონული ფრაგმენტაციის მაღალი დონე კი ხელს უწყობდა სოციალურ და ეკონომიკურ დაყოფას კომუნისტურ სახელმწიფოებში (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და საბჭოთა კავშირის მაგალითი) ამ პრობლემებმა გაართულა ქვეყნებში ეკონომიკური აკუმულაციის და რეგულაციის ფორმების მკაფიოდ გამოკვეთა, შესაბამისად, პოსტ-კომუნისტურ სამყაროში ინსტიტუციონალური მიდგომების დანერგვა მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივებთან არის დაკავშირებული (Smith & Swain, 1998, გვ. 36).

სმითის და სვეინის ტექსტი უმნიშვნელოვანესია იმ მხრივ, რომ ავტორები ცდილობენ სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ახსნას იმგვარად, რომ სრულად აღწერონ ამ ურთიერთობების კომპლექსური ხასიათი, სოციალური სისტემები სმითის და სვეინის მიხედვით სოციალური პრაქტიკების მთელი ქსელია, მათზე სხვა პრაქტიკების და ინსტიტუტების ზემოქმედებით კი შესაძლებელია სოციალური სისტემების რეგულირება, რითაც მხოლოდ დროებით მოგვარდება ის წინამდებელობები, რაც სოციალურ სისტემებს ახასიათებთ (Smith & Swain, 1998, გვ. 28).

სმითის და სვეინის განმარტავენ რომ : 1) საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ეკონომიკური მიზნების მიღწევას როგორც წესი განაპირობებენ ისეთი არაეკონომიკური მოტივაციები, როგორებიცაა სოციალიზაციის სურვილი, აგრეთვე სტატუსის და ძალაუფლების მოპოვების სურვილი. 2) ეკონომიკური ქმედებები არ ხდება საზოგადოებისგან განცალკევებით, არამედ საზოგადოებრივად

მოტივირებულიცაა, ამიტომ ეკონომიკური ქმედებების მხოლოდ ინდივიდუალური მოტივებით ახსნა არასწორია, ეს ქმედებები მიბმულია არსებულ კავშირებზე ან პერსონალურ ურთიერთობებზე, და არ იწარმოება ატომიზებული აქტორების მიერ.

3) ეკონომიკური ინსტიტუტები (როგორც ყველა სხვა ინსტიტუტი) არ ჩნდება თავისით, არამედ სოციალურად კონსტრუირებულია (Smith & Swain, 1998, გვ. 28).

რეგულაციური პროცესი სმითის და სვეინის მიხედვით ორი სახისაა, მატერიალური და დისკურსული, რომლებიც კავშირების გაძლიერებით წარმოიქმნებიან, მატერიალური კავშირები გულისხმობს ინსტიტუციურ ურთიერთობებს, რომლებიც თავის თავში მოიცავენ საბაზრო, იერარქიულ და ასოციაციურ მექანიზმებს, დისკურსული კავშირები კი გააზრების კოლექტიური ფორმებიდან (საზოგადოებრივი აზრი, სოციალური მოძრაობები და ა.შ) ამოზრდილი რეგულაციური პრაქტიკებია.

სოციალური ურთიერთობების ეს ორი სახე ქმნის თამაშის წესებს, რაც თავის მხრივ არეგულირებენ “ეკონომიზაციას” ანუ ეკონომიკის და საზოგადოებრივი ინტერესების აცდენას ერთმანეთისგან (Smith & Swain, 1998, გვ. 28).

სმითის და ფიქლისის კრებულის (Smith & Pickles, 1998) მესამე თავში, ”განსხვავებული განვითარებები, კაპიტალიზმის რეგულაციის და შედარებითი ტრანზიციის ინსტიტუტები და მოდელები” (Dunford, 1998), ავტორი ჯონ დანფორდი საუბრობს რუსეთის, დსთ-ს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრანზიციების თავისებურებებზე, კვლევისთვის მნიშვნელოვანია სსრკ-ს ტრანზიციის პროცესის ავტორისეული ხედვა.

ჯონ დანფორდი საუბრობს პრივატიზაციის პროცესზე, რის ირგვლივაც დიდი მოლოდინები იყო ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებში, პრივატიზაციის მხარდამჭერები ამბობდნენ რომ ეს პროცესი შექმნიდა ღია საკუთრების უფლებებს და დააჩქარებდა დინამიური, მოგებაზე ორიენტირებული მეწარმეთა კლასის ჩამოყალიბებას, თავის მხრივ ეს მეწარმეები გააუმჯობესებდნენ წარმოებას და შექმნილი კონკურენცია უზრუნველყოფდა მაქსიმალურად უტილიტარულ ფასწარმოქმნასაც (Dunford, 1998, p. 85).

ახალი საბაზრო სისტემას ასევე უნდა შეექმნა დისციპლინა და მოტივაცია მუშებისთვის, რომ ემუშავათ უფრო აქტიურად და მიეღოთ მაღალი ხელფასები, გარდაექმნათ საჯარო არაეფექტური საწარმოები კერძო, ეფექტურ საწარმოებად, “შოკური თერაპია” მხოლოდ მოკლე დროით თუ გააუარესებდა სიტუაციას, ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის არქიტექტორები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში დარწმუნებულები იყვნენ რომ ცხოვრების სტანდარტები მალევე გაუმჯობესდებოდა, ყოფილი კომუნისტური ეკონომიკები მალე მოერგებოდა დასავლელ მეზობლებს და კაპიტალისტური ინსტიტუტების მიმართ მხარდაჭერაც გაიზრდებოდა(Dunford, 1998, გვ. 85).

რობერტ გუდინის ნაშრომში : “უტილიტარიზმი, როგორც საჯარო ფილოსოფია” (Goodin, 1995), მოცემულია სახელმწიფოს, როგორც მორალური აგენტის კონცეფცია, რაც გარკვეულწილად ახლოსაა სკოკპოლის, რაშმაიერის და ევანსის ინსტიტუციონალურ თეორიასთან, სადაც სახელმწიფოს ავტონომიურობა აქვს და ის ერთგვარი სამართლიანობის გარანტია კაპიტალსა და მშრომელს შორის.

გუდინის მიხედვით, სახელმწიფოს ინტერვენციონისტული ფუნქციების დაცვა მოდის წინამდებეობაში თანამედროვე მორალური და პოლიტიკური ფილოსოფიის ორ მნიშვნელოვან დინებასთან, ლიბერტარიანელებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოს ნებისმიერ ჩარევას პრინციპების დონეზე, და დეონტოლოგისტებთან, რომლებიც განსჯიან ნებისმიერ ქმედებას შენატანის (input) მიხედვით, ანუ იმ მოტივების და მიმართებების ხარისხის მიხედვით, საიდანაც ეს ჩარევა ამოიზრდება(Goodin, 1995, გვ. 28).

გუდინი საუბრობს პრობლემების გარშემო არსებულ ლიბერალურ ხედვებზე, როდესაც არსებულ კრიზისებზე რიგი ლიბერალები იშველიებენ არგუმენტს : “ეს ჩემი საქმე არ არის”, გუდინის თქმით, ამ არგუმენტს შეიძლება ჰქონდეს ორი აზრი, რომ თუ “ეს ჩემი საქმე არ არის” ესეიგი ეს ვიღაც სხვის “საქმეა”, სხვას ეკისრება პასუხისმგებლობა პრობლემის მოგვარებაზე, მიუხედავად იმისა რომ ფრაზის ავტორს შესაძლოა გააჩნდეს ემპათიურობა კონკრეტული პრობლემის მიმართ, ან მეორე ვარიანტი : როდესაც პასუხისმგებლობა პრობლემის გარშემო მართლაც არავის აკისრია, ამ შემთხვევაში სრულიად ლოგიკურია რომ ეს პასუხისმგებლობა უარყოს

მრავლმა ინდივიდმა, ამ შემთხვევაში, როდესაც პასუხისმგებლობა არავისზე არ ვრცელდება, როდესაც ყველა ირიდებს ამ პასუხისმგებლობას თავიდან, იხსნება მოქმედების სივრცე, სადაც შესაძლებელია კონკრეტული ქმედებების განხორციელება პრობლემის აღმოსაფხვრელად, თუ პასუხისმგებლობა არავისზე არ არის, სახელმწიფო შესაბამისად არავისთვის წარმოადგენს საფრთხეს, რადგანაც ისეთს არავის შეუძლია ხელს, ვინც პრობლემის გადასაჭერლად იღწვის, ვინაიდან ასეთი არავინ არსებობს, ამიტომ, გაუგებარია რატომ არ უნდა გქონდეს რაღაცის გადაწყვეტის მოთხოვნის უფლება, როცა პასუხისმგებლობა კონკრეტულ საკითხზე არც არავის აქვს აღებული, და ამ საკითხში ჩარევაც შესაბამისად არავის დააზარალებს (Goodin, 1995, გვ. 31-32).

გუდინს პრობლემების გადაჭრის პროცესში შემოაქვს ჯგუფების ფენომენი, ავტორის მიხედვით, კოლექტიური ღონისძიება აუცილებელია, თუ ინდივიდებს ცალკეული ქმედებებით შედეგებზე გავლის ნაკლები შანსი აქვთ, თუ ინდივიდები ცალკეულად ამბობენ რომ : “ეს ჩემი საქმე არ არის”, ამ შემთხვევაში უნდა წახალისდეს კოლექტიურობა და ამ გზით უნდა განადგურდეს ის ბარიერები, რაც საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩნდება, კოლექტიური ქმედებებით, პრობლემის გადასაწყვეტად ასპარეზზე ახალი აქტორი გამოდის, რომლის “საქმეც” ნამდვილად არის პრობლემის წინამდებარე ბრძოლა (Goodin, 1995, გვ. 35).

ეს აქტორი არის სოციალური ჯგუფები, რომელსაც ავტორი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს პრობლემების გადაჭრის პროცესში, ამ პროცესში ორგანიზებული ჯგუფის გამოჩენა აჩენს ახალ პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობაზე კი შენდება დღის წესრიგი, დღის წესრიგი თავის მხრივ აჩენს სივრცეებს ქმედებებისთვის, მცირე, გაურკვეველ ჯგუფებს უჭირთ ამ სივრცეების ათვისება, მათ არ შეუძლიათ კოლექტიური ძალისხმევით რაიმე პრობლემის რეალური გადაჭრისთვის ბრძოლა, ვიდრე ისინი არ ჩამოყალიბდებიან შესაბამისად დალაგებულ ჯგუფად (Goodin, 1995, გვ. 35).

გუდინი საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესს კოლექტივისა და ინდივიდის დაპირისპირების ქრილში განიხილავს, სადაც რეგულაცია კოლექტიური საჭიროებებით განპირობებული ცვლადია, კოლექტივი - ინდივიდების ერთობა,

რომელიც კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ერთიანდება, ამ ინდივიდებთან დაპირისპირებულ ცალკეული ინდივიდი კი ან დაცლილია პოლიტიკური მნიშვნელობისგან, ან საერთო სიკეთის საპირისპირო მხარეს დგას, აქ შესაძლებელია ინტერეს ჯგუფის იდენტიფიცირება, რომელიც აწარმოებს პრობლემას, და რომლის წინამდებეც ერთიანდებიან ინდივიდები კოლექტივად, კოლექტიური ნების აგენტი კი - სახელმწიფოა, რომელიც უტილიტარული ქცევის მთავარი საყრდენია და კოლექტივის ინტერესებს წარმოადგენს, როდესაც პრობლემის გადაწყვეტისთვის მუქანიზმები არ არსებობს.

II თავი. კაპიტალიზმი და ინსტიტუტების მშენებლობა : აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოსტკომუნისტური გამოცდილება (უნგრეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მაგალითი)

2.1 პოსტკომუნისტური აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (უნგრეთი, ჩეხეთი სლოვაკეთი) და საქართველოს ტრანზიციის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები

ოფე, ელსტერი და პროისი თავიანთ ნაშრომში: "პოსტკომუნისტური საზოგადოებების ინსტიტუციური ფორმირება" (Elster, Offe, & Preuss, 1998), გამოყოფენ დემოკრატიული ტრანზიციის შესწავლისას ანგარიშგასაწევ ოთხ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს : 1) კონსტიტუციის შექმნა 2) პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება 3) პრივატიზაცია 4) მარკეტიზაცია, აგრეთვე ახალ ინსტიტუციონალურ ფორმებს : სოციალურ დაცულობას, სიღარიბის შემწეობას და სოციალურ სერვისებს, ავტორები ამ კრიტერიუმებით აფასებენუნგრეთის, ჩეხეთის და სლოვაკეთის (ყოფილი ჩეხოსლოვაკია) ტრანზიციას, ამ კრიტერიუმების მიხედვით ასევე მსჯელობენ სასურველი შედეგის : შეუქცევადი განვითარების, სოციალური და ეკონომიკური წესრიგის შანსებზე.

მოცემული ქვეყნების და საქართველოს ტრანზიციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სახელმწიფოების კომუნისტურ წარსულს, ჰერბერტ კიტშელტი, ზდენკა მასფელდოვა, რადოსლავ მარკოვსკი და გაბორ ტოკა თავიანთ ნაშრომში : "პოსტკომუნისტური პარტიული სისტემები" (Post-Communist Party Systems : Competition, Representation and Inter-Party Cooperation) (Kitschelt, Mansfeldova, Markowski, & Toka, 1999) სადაც განხილულია პოსტკომუნისტური სივრცის პარტიული პოლიტიკის განვითარება, გვაძლევენ თანამედროვე პოსტკომუნისტური პარტიული სისტემების ტიპოლოგიას მათი კომუნისტური წარსულის გათვალისწინებით, სადაც გამოყოფილია კომუნისტური მმართველობის სამი მოდელი : ბიუროკრატიულ-ავტორიტარული კომუნიზმი, ნაციონალურ-

გამანაწილებელი კომუნიზმი და პატრიმონიალური კომუნიზმი(Kitschelt, Mansfeldova, Markowski, & Toka, 1999, გვ. 36-37).

ეს სამი მოდელი გამოიყენება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების აღწერისთვის.

კომუნიზმის ბიუროკრატიულ-ავტორიტარული რეჟიმები ცივი ომის პერიოდში არსებობდნენ "რკინის ფარდის" წინა ხაზზე, სადაც ავტორების თქმით "საბჭოთა იმპერიამ მძიმე ზღუდე ააშენა" სადაც განსაკუთრებით ძლიერი სპეციალური სამსახურების მუდმივი ზეწოლა სახელმწიფოებზე და მოქალაქეებზე.(Kitschelt, Mansfeldova, Markowski, & Toka, 1999, გვ.35). ამ რეჟიმებს მიეკუთვნებოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩეხოსლოვაკია.

ბიუროკრატიულ-ავტორიტარულ რეჟიმებს ახასიათებდათ პროფესიონალი ბიუროკრატიული აპარატი და კორუფციის დაბალი დონე, სისტემა რეპრესიული იყო და თანამშრომლობისთვის მინიმალურად იყო მზად, ჩეხეთის და სლოვაკეთის ტრანზიციამ განხორციელდა სწრაფად და საზოგადოების რეჟიმის წინამძღვრად ერთიანობის ფონზე, პროცესი ხელში აიღეს ლიბერალებმა, სისტემის მოწინააღმდეგეთა რიგებში ნაციონალისტების წარმომადგენლობა სუსტი იყო, სისტემა ჩამოიშალა უცებ, რასაც წინ უძღოდა მოკლე, თუმცა ძლიერი საპროტესტო ტალღა, ჩეხეთი და სლოვაკეთი, რომლებიც კომუნისტური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მალევე დაიშალნენ ორ სახელმწიფოდ, გადაიქცნენ საპარლამენტო სისტემად, სადაც პრეზიდენტი სუსტია.

კომუნიზმის ეროვნულ-გამანაწილებელი მოდელი ხასიათდებოდა ნაკლებად პროფესიონალი ბიუროკრატიული აპარატით, შედარებით მაღალი კორუფციით, ეს მოდელი ღია იყო ახალი წევრებისთვის და იყო ნაკლებად რეპრესიული, რეჟიმის დამხობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ლიბერალებმა, აგრეთვე ნაციონალისტებმა, ტრანზიციის პროცესი კომუნისტური ელიტის და ოპოზიციის მოლაპარაკებების ფონზე მიმდინარეობდა, ახალი ხელისუფლება - პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი,თუმცა საკმაოდ დიდი გავლენების მქონე იყო, პრეზიდენტი შედარებით უფრო ძლიერი იყო ვიდრე ყოფილ ბიუროკრატიულ-ავტორიტარულ

რეჟიმებში. ამ ტიპის რეჟიმი იყო დამყარებული უნგრეთსა და პოლონეთში (Kitschelt, Mansfeldova, Markowski, & Toka, 1999, გვ. 36-37).

კომუნიზმის პატრიმონიალური ტიპი ახასიათებდა საბჭოთა კავშირს, განსაკუთრებით კი მის გეოგრაფიულ ცენტრს, მათ შორის საქართველოს სსრ-ს, სადაც ბიუროკრატია არ გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, იყო კორუფციის განსაკუთრებით დიდი მასშტაბები, რეჟიმი რეპრესიული იყო, თუმცა პარტიაში გაწევრება/სოციალური მობილობა ადამიანებისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა, პატრიმონიალურ კომუნისტურ რეჟიმებს ძლიერი ნაციონალისტური ჯგუფები და სუსტი ლიბერალები დაუპირსპირდნენ, ტრანზიციის პროცესის შედეგად სრულიად განადგურდა კომუნისტური ელიტა, რომელიც მოგვიანებით სხვადასხვა განსხვავებული შინაარსის პარტიებში გადანაწილდა, ამ რეჟიმების ნანგრევებზე ძლიერი საპრეზიდენტო მართვის სტილი და სუსტი საპარლამენტო პროცესი აღმოცენდა (Kitschelt, Mansfeldova, Markowski, & Toka, 1999, გვ. 36-37).

თანამედროვე პერიოდში, კომუნისტური სივრცის ყოფილი პატრიმონიალური რეჟიმები უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს განიცდიან, ტრანზიციის პირველი ტალღის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცის ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობა ეტაპობრივად უარს ამბობს ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობაზე, რასაც პარლამენტის როლის ზრდა მოჰყვება პოლიტიკურ პროცესში, ამ მხრივ, რეგიონში საქართველო მარტო არ ყოფილა, პრეზიდენტის გავლენა შემცირდა სომხეთის რესპუბლიკაშიც (Weinberger, 2015), სადაც 2015 წლის ცვლილებების მიხედვით, სომხეთში ნახევრად საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევის პროცესი დაიწყო.

პოსტ-კომუნისტური ტრანზიციების საერთო მახასიათებელი იყო ასევე ის, რომ ტრანზიციის პროცესში კონტრ-ელიტები არ არსებობდნენ, ან ძალიან სუსტები იყვნენ, არ არსებობდა თეორია, რასაც ეყრდნობოდნენ კომუნისტური რეჟიმების მოწინააღმდეგეები, არ არსებობდა ფორმები, ან რაიმე სახის ხედვებზე დამყარებული პროექტი, რაზეც დაშენდებოდა კომუნისტური სივრცის კოლაფსით გამოწვეული ახალი დღის წესრიგი, ოფე, ელსტერი და პროისი წერენ რომ დისიდენტების ვიწრო, არაეფექტური წრეების გარდა, რომლებსაც არ შეეძლოთ გარღვევა თავიანთი

მარგინალური აკადემიური, სამსახიობო, თუ რელიგიური ინსტიტუტებით კონსტრუირებული ჯგუფებისგან, ყველა მასობრივი მოძრაობა (პოლონეთის გამოკლებით) რეჟიმის ხრწნის შედეგი იყო (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 11).

კონტრ ელიტების არარსებობა შეგვიძლია ჩვენი საკითხისთვის ვთარგმნოთ როგორც ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რამაც გააჩინა სივრცეები კომუნისტური სამყაროს ნანგრევებში ყოფილი ბიუროკრატის წარმომადგენლების ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის და ასევე ახალი ბიზნეს ელიტების ფორმირებისთვის, ამ თავში აღწერილია სწორედ ის პრობლემები, რაც პოსტკომუნისტური სივრცის ტრანზიციის პერიოდში არსებული ძალაუფლების ცენტრების გადანაწილების პარალელურად გაჩნდა.

1944 წლიდან 1949 წლამდე აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოში კომუნისტური მმართველობა დამყარდა, რასაც მოჰყვა ამ სახელმწიფოებში საბჭოთა კავშირში ადაპტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გადმოტანაც, შეიქმნა დამგეგმავი კომისიები, რომელთაც დაევალათ ინდუსტრიალიზაციის გზით ომის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესის დაჩქარება (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 40).

ყველა ამ სახელმწიფოში აღინიშნებოდა მასიური ეკონომიკური ზრდა, აღმოსავლეთ ევროპული ეკონომიკების ინდუსტრიალიზაციამ გამოიწვია შრომის მასობრივი რელოკაცია და დაჩქარებული ურბანიზაცია, გამონაკლისი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩეხოსლოვაკია იყო, სადაც უკვე განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრებაც და წარმოების საშუალებებიც. აღმოსავლეთ ევროპაში სწორედ ამ პერიოდში მოხდა რურალური სივრცეების ინდუსტრიულ ცენტრებად გარდაქმნა, ამ რეფორმებმა დააჩქარა ძველი ეკონომიკური ელიტების გაქრობაც, წოდებრივი და ქონებრივი ნიშნით სტრატეფიცირებული საზოგადოება მალევე გარდაიქმნა ფორმალურად გათანასწორებულ საზოგადოებად, სადაც საზოგადოებრივი განსხვავებები მინიმუმამდე დავიდა, პოლიტიკური ლიდერებისგან ჩამოყალიბდა ახალი ელიტა, ნომეკლატურა, რომელიც განსხვავებით წინა ელიტებისგან, ნაკლებად ხასიათდებოდა მემკვიდრეობითობის პრინციპით (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 40).

საქართველო ბევრად უფრო ადრე, 1921 წელს გასაბჭოვდა, ქართულ ეკონომიკაში სტალინური ინდუსტრიალიზაციის პროცესის პარალელურად უდიდესი ყურადღება ეთმობოდა აგრარული სექტორის განვითარებას, მიუხედავად იმისა რომ საქართველოს სსრ-ში ბევრად უფრო ადრე დაინერგა საბჭოთა ეკონომიკური მოდელი, ნომეკლატურის ტიპური გაძლიერება მაინც ემთხვევა აღმოსავლეთ ევროპულ თარიღებს, ვინაიდან საბჭოთა კავშირში ნომეკლატურისთვის სასიცოცხლო სივრცე მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა, როდესაც პოლიტიკური დიქტატურის მასშტაბები საგრძნობლად შემსუბუქდა.

ოფე, ელსტერი და პროისი წერენ რომ კომუნიზმის პირობებში, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ეკონომიკაც და პოლიტიკაც ნომეკლატურის კონტროლს ექვემდებარებოდა, მმართველი ელიტის ეს ურყევი ძალაუფლება ტრანზიციის პერიოდში გაქრა და დაიწყო ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რითაც ეკონომიკურმა სისტემამ გარკვეული ავტონომიურობა მოიპოვა, მოიხაზა საზღვრები პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას შორის, რასაც ავტორები “ჰორიზონტალურ კონსოლიდაციას” უწოდებენ.(Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 156).

სახელმწიფოს “ამოჭრა” ეკონომიკიდან ავტორების თქმით კონსოლიდირებული კაპიტალისტური ეკონომიკისთვის აუცილებელი წინაპირობაა, ამავდროულად, საჭიროა ეკონომიკაში სახელმწიფოს პოზიტიური როლის პოვნაც, რაც გულისხმობს ახალ გამოჩენილი საბაზრო აქტორების მხარდაჭერას ფინანსური, ინფორმაციული თუ ორგანიზაციული კუთხით, აგრეთვე არა ინსტიტუციონალური ბარიერების გაუქმება ვაჭრობის განვითარებისთვის, მაგალითად : კომპანიების მიმართ დავალიანების გაუქმება და სახელმწიფოს მიერ კუთვნილი საწარმოების დემონოპოლიზაცია(Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 156-157).

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ “შოკური თერაპიის”, ანუ გეგმიური ეკონომიკიდან დაჩქარებული პრივატიზაციის გზით კაპიტალიზმზე გადასვლის მთავარი მიზანი ეკონომიკაში სახელმწიფოს წილის მაქსიმალური შემცირებაა, უნდა აღინიშნოს რომ ტრანზიციების პერიოდში ამ რეფორმის გატარება წარმოუდგენელი იყო თავად სახელმწიფოს გარეშე, “დესტატიზაციის” ანუ “განსახელმწიფოების”

პროცესს შესაბამისად, პოსტკომუნისტურ სივრცეში ძლიერი სახელმწიფო აპარატი ახორციელებდა, ამას ეკონომისტებმა “ორთოდოქსული პარადოქსი” უწოდეს (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 161).

როგორც დრომ გვიჩვენა, აღმოსავლეთ ევროპაში კლასიკური დასავლური საბაზრო ეკონომიკის იმპლემენტაცია არ მომხდარა, რეგიონის სპეფიციურმა მახასიათებლებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ტრანზიციის პერიოდში რეგიონის განვითარებაზე.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ეკონომიკას ანდრეას ნოლკე და ალან ვლიგენჰარტი საკუთარ სტატიაში : “კაპიტალიზმის ვარიაციების გაფართოება” (Enlarging Varieties of Capitalism), “უწოდებენ დამოკიდებულ საბაზრო ეკონომიკას” (Nolke & Vliegthart, 2009), ეს აღწერა ჰოლის და სოსკიჩის კლასიკურ ნაშრომში - “კაპიტალიზმის ვარიაციების თეორიაში” (Hall & Soskice, 2001) შემოთავაზებული კაპიტალიზმის ორი ტიპის, კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ალტერნატივაა, რაშიც იგულისხმება ის, რომ “დამოკიდებული საბაზრო კაპიტალიზმი” საბაზრო ეკონომიკის სპეფიციურად რეგიონული ინტერპრეტაციაა.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მოცემულ სახელმწიფოებს : ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ახასიათებთ ტრანსნაციონალური კორპორაციების ინვესტიციებზე დამოკიდებულება, ნოლკე და ვლიგენჰარტი მიუთითებენ რომ მათ შესწავლილ ლიტერატურაში ჩანს ტრანსნაციონალური კომპანიების სურვილი, მოახდინონ დაქირავებულ შრომაში მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯების პარალელურად, რეგიონის ადგილობრივი ინდუსტრიების განვითარება და მათში საფუძვლიანი ცოდნის წარმოება (Nolke & Vliegthart, 2009, გვ. 676).

მიუხედავად იმისა, რომ “დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკის” ქვეყნებში ტრანზიციის პერიოდის შემდეგ სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეინიშნებოდა, ოფეს, ელსტერის და პროისის მიხედვით, ამ სახელმწიფოებში ეკონომიკა “არაცივილური” მახასიათებლების იყო (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 196).

ეკონომიკის კერძო სექტორი ამ სახელმწიფოებში შენდებოდა იმ ტრანსფერებზე, რომლებიც სახელმწიფო სექტორიდან ხორციელდებოდა, კომუნიზმის პერიოდში სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოების მენეჯერები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ამ საწარმოების ბაზაზე, პრივატიზაციის შედეგად იქცნენ კერძო კომპანიების შემქმნელებლად, ამ კომპანიებს ისინი თავად მართავდნენ, ან მათი ნათესავები/პარტნიორები იკავებდნენ წამყვან თანამდებობებს (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 198).

ეს ტენდენცია არ არის უცხო საქართველოსთვისაც, სადაც პრივატიზაცია ანალოგიურ მახასიათებლებს ატარებდა, საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში პრივატიზაციის პროცესი ყოველგვარი მარეგულირებელი ჩარჩოების გარეშე მიმდინარეობდა, სახელმწიფო ქონება დაბალ ფასებში იყიდებოდა, წარმოებდა ფარული გარიგებები, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო ქონებისა და მართვის სამინისტროს თანამშრომლებიც, ხელოვნურად იყო დაგდებული საწარმოთა ფასები, მაგალითად 1997 წელს, 226 საწარმოს აქციები, რომელთა ნომინალური ღირებულებაც 86 მილიონ დოლარს შეადგენდა, გაიყიდა 3,25 მილიონ დოლარად (ჯონსი, 2012, გვ. 281).

ნოლკეს და ვლიგენჰარტის მიხედვით, დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკის მოდელის სახელმწიფოებში, ტექნოლოგიების საშუალო დონეზე ცოდნა და შრომის დაბალი ანაზღაურება რეგიონს უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ბაზარზე, კომუნიზმის სახით ძველი ინსტიტუტების ნგრევის შემდეგ, ტრანსნაციონალური ორგანიზაციები ცდილობენ ახალი ინსტიტუციური წესრიგის შექმნას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის მოცემულ ქვეყნებში, საკუთარი საჭიროებების მიხედვით (Nolke & Vliegenthart, 2009, გვ. 676).

“დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკების” ინსტიტუციურ ფორმირებაზე ტრანსნაციონალური კომპანიების დომინირებას ნოლკეს და ვლიგენჰარტის თქმით ხელი შეუწყო რეგიონში ძლიერი ადგილობრივი ბურჟუაზიის არარსებობამ, ვისაც შეეძლო შეწინააღმდეგებოდა უცხოური კაპიტალის გავლენების ამ ფორმებით გავრცელებას, მმართველი პოლიტიკური კლასების იდეოლოგიამ წაახალისა იმ ეკონომიკური სისტემის განვითარება, რაც მიეჯაჭვა ტრანსნაციონალური

კომპანიების ინტერესებს, ამ კომპანიებმა კი გაატარეს რეგიონში ის ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც საბოლოოდ ეკონომიკის რესტრუქტურისა და უცხოური ინვესტიციების როლის ზრდა გამოიწვია, რაც ამავდროულად განაპირობებდა ეკონომიკურ ზრდასაც (Nolke & Vliegthart, 2009, გვ. 677).

საქართველოს მაგალითი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ამ სამი სახელმწიფოს მაგალითისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ინსტიტუტებს დიდი გავლენა აქვთ საქართველოს ეკონომიკაზე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში რეალური სექტორის (მძიმე ინდუსტრია, საბანკო საქმიანობა) წამმართველები მაინც ადგილობრივი ელიტები არიან.

“დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკის” სახელმწიფოებში უცხოური კაპიტალის, პირდაპირი უცხოური ინვესტირების როლმა დიდწილად განაპირობა ამ სახელმწიფოების ეკონომიკური აღმავლობა, მაგალითად : უნგრეთის მთლიანი შიდა პროდუქტი მსოფლიო ბანკის 2017 წლის მონაცემებით 139.135 მილიარდი აშშ დოლარია, რაც 9.17-ჯერ აღემატება საქართველოს მონაცემებს (15,159 მილიარდი აშშ დოლარი), ჩეხეთის რესპუბლიკის მშპ (215, 726 მილიარდი აშშ დოლარი) 14,23 ჯერ აღემატება საქართველოს მონაცემებს, სლოვაკეთის - 95, 769 აშშ დოლარი 6,3 ჯერ⁷. (იხ. დანართი #2)

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დღესაც ამ სახელმწიფოების მთლიან შიდა პროდუქტში კაპიტალიზაციის მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ, მაგალითად, 2017 წელს - უნგრეთში ეს წილი მშპ-ს 67%-ია, ჩეხეთში - 72%, სლოვაკეთში - 49%⁸, (იხ. დანართი #2) აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში, 2016 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის 41,4 %-ს მიაღწია⁹,

⁷ იხ. “World Bank national accounts data, and OECD national accounts data files”
<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=HU-GE-CZ-SK>
(მოდირებულია 16.05.2018)

⁸ იხ. “FDI Stocks”
<https://data.oecd.org/fdi/fdi-stocks.htm>
(მოდირებულია 16.05.2018)

⁹ იხ. “Georgia : Foreign Investments”
<https://en.portal.santandertrade.com/establish-overseas/georgia/investing>
(მოდირებულია 16.05.2018)

თუმცა მოცულობით ეს ინვესტიციები ბევრად ჩამორჩება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს.

2.2 კომუნიზმის შემდეგ : შრომა პოსტსოციალისტურ პერიოდში

ტრანზიციის პერიოდში, უმუშევრობა ერთ-ერთი უმთავრესი თანმდევი პრობლემა იყო პოსტ-კომუნისტური სივრცისთვის, უმუშევართა რიცხვი ტრანზიციის პერიოდში ჩეხეთში 6.5 %-ით გაიზარდა, სლოვაკეთში 8,5 %-ით, უნგრეთში 5,5 %-ით (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 212), საქართველოში პრობლემები გაცილებით უფრო მასშტაბური იყო, აქ მასიური კლება აღინიშნა არა მხოლოდ სამუშაო ძალებში, არამედ წარმოების მთელ დარგებში, მაგალითად : 1990-1995 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება შემცირდა 63 % -ით, სამრეწველო წარმოება 85.9 % -ით (ჯონსი, 2012, გვ. 267), ეს უდიდესი კატასტროფა იყო საქართველოს ეკონომიკისთვის, რამაც წარმოშვა თითქმის ათწლიანი ვაკუუმი, რაც საბოლოოდ 2003 წლიდან, ვარდების რევოლუციის შემდეგ გაირღვა, 2003 წლიდან 2017 წლამდე მშპ თითქმის გახუთმაგდა¹⁰. (იხ. დანართი#2)

მნიშვნელოვანია ტრიპარტიული ინსტიტუტების შექმნის პროცესი, რაც სლოვაკეთში, ჩეხეთსა და უნგრეთში ტრანზიციის პირველივე ეტაპზე განხორციელდა, ამ მხრივ საქართველოში პროცესი დღემდე რთულად ყალიბდება და მშრომელთა კარგად ორგანიზებული გაფიცვების პრაქტიკები სსრკ-ს რღვევის შემდეგ მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შეინიშნება.

ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში ტრიპარტიული ინსტიტუტების შექმნა იყო კერძო ინტერესების და საჯარო სიკეთეების შორის გამიჯვნის პირველი სიმპტომი, ბიზნეს ასოციაციები ეტაპობრივად სწავლობდნენ საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლას, სახელმწიფო კი ცდილობდა მაქსიმალურად უკან დაეხია ეკონომიკური სფეროდან (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 235), თუმცა, ამ სახელმწიფოებში მშრომელთა ორგანიზებამ, ბრძოლის უნარიანობამ და მოქნილმა

¹⁰ იხ. "World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files"
<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=GE>
(მოძიებულია 16.05.2018)

სტრატეგიებმა მშრომელებს მისცა საშუალება უმაღლეს დონეზე ებრძოლათ საკუთარი ინტერესებისთვის და გამხდარიყვნენ ბიზნეს ინტერესების საპირწონე ორგანიზებული აქტორები, ამის შესაძლებლობას ძლიერი პროფკავშირები იძლეოდა.

ტრიპარტიული გადაწყვეტილებები, სადაც სახელმწიფო, ბიზნესი და პროფესიული კავშირები გარკვეულ კონსესუსებზე გადიოდნენ, აძლიერებდა და ლეგალური უფლებებით ამდიდრებდა პროფესიულ კავშირებს, რომლებიც გაფიცვების გამართვის და საბოლოოდ, შეჩერების სანაცვლოდ იხვეჭდნენ ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი აქტორის სტატუსს, 90-იან წლებში პროფკავშირები წარმატებით იბრძოდნენ სახელფასო პოლიტიკის, სოციალური პოლიტიკის და შრომითი ურთიერთობების გარშემო მათთვის სასარგებლო შედეგების მისაღწევად.

მაგალითად, ჩეხეთში, მემარჯვენე პრემიერ მინისტრი, ვაცლავ კლაუსი იძულებული იყო მიეღო კორპორატისტული სტრუქტურა, გაეთვალისწინებინა მათი საჭიროებები, რათა თავიდან აეცილებინა პროფკავშირების მასობრივი გამოსვლები, ჩეხეთის ხელისუფლებამ ყოფილ კომუნისტურ პროფესიულ გაერთიანებებს საკუთრებაში დაუტოვა კომუნისტური პერიოდის ქონება, მიუხედავად ამისა, ტრანზიციის პერიოდის ჩეხეთში ხელისუფლება ცდილობდა ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან პროფესიული კავშირების გამორიცხვას (Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 235), , თუმცა პროფესიულმა კავშირებმა ჩეხეთში მაინც შეძლეს ძლიერ ორგანიზაციად ჩამოყალიბება, დამოუკიდებლობის ისტორიაში ჩეხეთში ყველაზე დიდი გამოსვლები პროფკავშირებმა 2012 წლის სექტემბერში მოაწყვეს, როდესაც სტუდენტები და დასაქმებულები სოციალური პროგრამების შეკვეცას, გადასახადების გაზრდას და კორუფციას დაუპირისპირდნენ¹¹.

სლოვაკეთში არსებული პოლიტიკური დამაბულობები, რაც ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ აღინიშნებოდა, სლოვაკურ პროფესიულ კავშირებს ჩეხებზე მეტ შესაძლებლობას აძლევდა გავლენების გაძლიერებისთვის, სლოვაკური პროფესიული კავშირების უდიდესი მიღწევაა ტრანზიციის პერიოდიდან “სოციალური ფონდის აქტის მიღება”(Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 236), რის შედეგადაც, სახელმწიფო

¹¹ იხ. *“Czechs state mass rally in protest against government”*
<https://www.theguardian.com/world/2012/apr/21/czech-republic-prague-rally-protest>
(მოძიებულია 21.05.2018)

ავალდებულებდა დამსაქმებლებს ფონდში მათ მიერ გაცემული ხელფასების 1%-ის შეტანას, ასევე მშომელთა ტრანსპორტირების 20%-ით და კვების 30%-ით დაფინანსებას¹².

უნგრეთმა მეზობელი სახელმწიფოების მსგავსად, დიდი ყურადღება დაუთმო ტრიპარტიული ინსტიტუტების მშენებლობას, 1988 წელს შეიქმნა "ინტერესების შეჯერების ეროვნული საბჭო", სახელფასო სისტემის ლიბერალიზაციის მოთხოვნით, 1990 წელს, საბჭო აქტიურად იწყებს ქმედებებს და იწვევს ყველა პროფესიულ კავშირებს, კონფედერაციებს და დასაქმებულთა ორგანიზაციებს ფორუმზე, ამ ინსტიტუტის ბაზაზე წარმოქმნილმა სოციალურმა პარტნიორობამ ითავა მთელი ქვეყნის მასშტაბით ტაქსის მძღოლების მასობრივი გაფიცვის ორგანიზება(Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 237).

1992 წელს, უნგრეთში შეიქმნა შრომის კოდექსი, სადაც განსაკუთრებით იყო ხაზგასმული ტრიპარტიული თანამშრომლობის როლი შრომითი ურთიერთობების მენეჯმენტში და მინიმალური ხელფასის შემუშავებაში(Elster, Offe, & Preuss, 1998, გვ. 237).

საქართველოს და ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპის ამ სამი სახელმწიფოს გამოცდილებები როგორც კომუნისტურ პერიოდში, ასევე პოსტ-კომუნისტურ პერიოდში ერთმანეთისგან განსხვავდება, ჩეხეთის, სლოვაკეთის და უნგრეთის გამოცდილებების აღწერამ მომცა საშუალება გამომეკვთა ამ განსხვავებების ძირითადი მიზეზები, ჩეხეთის და სლოვაკეთის ბიუროკრატიულ-ავტორიტარული გამოცდილება, ინდუსტრიული სფეროს მაღალი წილი სახელმწიფოს ეკონომიკაში, ისევე როგორც ტრანზიციის მშვიდი პროცესი იქცა ამ სახელმწიფოს კომუნისტური მმართველობიდან მშვიდობიანი გამოსვლის წინაპირობად, კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის სოციალურ-ეკონომიკურმა გადანაწილებამ, ძლიერმა ბიუროკრატიულმა აპარატმა მაქსიმალურად შექმნეს სივრცე სახელმწიფოს რაციონალური ტრანზიციისთვის, საბჭოთა კავშირში არსებული გავლენების ჩრდილოვანი გადანაწილების გამოცდილება არც ჩეხოსლოვაკიაში და არც უნგრეთში

¹² იხ. "NATLEX : Database of national labour, social security and related human rights legislation"
http://www.ilo.org/dyn/natlex/natlex4.detail?p_lang=en&p_isn=41183
(მოძიებულია 29.05.2018)

არ გვხვდებოდა, ამ ორ სახელმწიფოს გასაბჭოება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა, რამაც დიდწილად განაპირობა დამოუკიდებლობის პოლიტიკური მახსოვრობის შენარჩუნება, საბჭოთა იმპერიისგან განსხვავებული პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი მიზეზი ასევე სტალინისტური რეპრესიების არ არსებობაში უნდა ვეძებოთ, კომუნისტურმა ელიტებმა უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიაში წარმატებით ვერ განახორციელეს სოციალური ინჟინერინგის პროცესი, ამიტომაც, ტრანზიციამ ამ ორ სახელმწიფოში რაციონალური დეტერმინანტებით წარიმართა, სადაც საზოგადოების ყველა ფენამ მოახერხა საკუთარი ინტერესების დაცვა, ამას ადასტურებს ტრიპარტიზმის პრინციპის იმპლემენტაციაც ტრანზიციის პირველ წლებში, როდესაც პრივატიზებული წარმოების სფეროებში დასაქმებული მუშები ახორციელებდნენ ეფექტურ ზეწოლას სახელმწიფოზე.

მიუხედავად იმისა რომ ჩეხეთის, სლოვაკეთის და უნგრეთის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი შთამბეჭდავია, მიუხედავად იმისა რომ ამ სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს "ვამინგტონის კონსესუსის" ძირითად ღირებულებებს, ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლა ამ სახელმწიფოებში გაცილებით უფრო ნაკლები "დანაკარგებით" გახდა შესაძლებელი ვიდრე ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდებოდა.

ბიზნესელიტები ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში არ არიდებენ თავს პროფესიულ კავშირებთან კოორდინაციას და არ აქვთ ის უზარმაზარი რესურსები, რაც პოსტსაბჭოთა სივრცის ბიზნესელიტებს ახასიათებთ, შეიძლება ითქვას რომ ამ სახელმწიფოებში ბიზნესელიტები არ არიან სახელისუფლებო ელიტასთან შეზრდილი პოლიტიკური კლასი, პირიქით, ისინი ამ სახელმწიფოებში ეკონომიკური სექტორის დამოუკიდებელი აქტორები არიან, ვისაც უწევს თანამშრომლობა როგორც სახელმწიფოსთან, ასევე მშრომელთა გაერთიანებებთან.

III თავი. საქართველოს პოლიტიკური ეკონომია 2012-2017 წლებში

3.1 პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ბიზნესელიტები - უახლესი წარსული (2003-2012 წლები)

1990-იანი წლებიდან, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირდაპირი საგარეო ინვესტიციების ზრდის და საწარმოების პრივატიზაციის ტენდენციამ სახელმწიფო მთლიანად განდევნა მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნების პროცესიდან, ეს ტენდენცია ახასიათებდა ყველა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოს, განსაკუთრებით მწვავედ კი ეს აისახა იმ მცირე სახელმწიფოებზე, რომლებიც კომუნისტურ პერიოდში საბჭოთა დოვლათის მწარმოებელი რესურსებით მდიდრები არ იყვნენ.

რუსეთში და ყაზახეთში, პოლიტიკურმა ელიტებმა პირველებმა უპასუხეს საგარეო შოკებს ეკონომიკაზე აქტიური დეპრივატიზაციის პოლიტიკით. ბუნებრივი რესურსებით მდიდარმა ამ ორმა ავტორიტარულმა სახელმწიფომ გაზარდა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ინდუსტრიების რიცხვი, რითაც გაჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმის, როგორც სახელმწიფოს მიერ აღიარებული ეკონომიკური პარადიგმის პირველი პრეცედენტი (Timm, 2013, გვ. 3).

რუსული და ყაზახური ეკონომიკური მოდელი, რომელიც დასავლური ინსტიტუციონალური ეკონომიკის არალიბერალური ალტერნატივაა, ბუნებრივია გადაახტა მთელ იმ სიკეთეებს, რაც დასავლეთში ლიბერალური დემოკრატიის და რეგულაციების თანაარსებობამ მოიტანა, თუმცა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობდა განსხვავებული პოლიტიკური კულტურის მატარებელი ახალგაზრდა სახელმწიფო, საქართველოს სახით, რომელიც დასავლურ აკადემიურ სივრცეებში განვითარების და დემოკრატიზაციის მაგალითად აღიქმებოდა, სადაც შესაბამისად, იარსებებდა სივრცე ალტერნატიული შესაძლებლობებისთვის.

2003 წელს, საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის არ არსებობდა ის შემაფერხებელი ფაქტორები რაც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს ახასიათებდათ ავტონომიური, ძლიერი სამხედრო ელიტის, კლანური თუ ტრაიბალური კავშირების, ეთნიკური პარტიული პოლიტიკის სახით, თუმცა არსებობდა დემოკრატიზაციისთვის პოტენციურად ხელშემწყობი ფაქტორები, რაც გამოიხატებოდა განათლების მაღალი ინდექსით, პროდასავლური ხელისუფლებით, შედარებით უფრო დემოკრატიული სამეზობლოთი პოსტსაბჭოთა სივრცეში (Lazarus, 2010, გვ. 3).

აუცილებელია, აღინიშნოს სააკაშვილის გუნდის მიერ 2003 წლიდან 2012 წლამდე გატარებული ის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სახელმწიფოს ეკონომიკაზე.

2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ, "მსოფლიო ბანკის" მონაცემებით, საქართველოს ისტორიაში მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდა : 11.06% დაფიქსირდა, 2004 წელს ზრდა 5.84% იყო, 2005 წელს 9.6 %, 2006 წელს 9.38%, 2007 წელს კი - რეკორდული 12.34 %, რაც სახელმწიფოს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო, 2008 წლის ომმა რუსეთის ფედერაციასთან შედეგად ზრდის უარყოფითი ბალანსი, 2009 წელს -3.65% აჩვენა, თუმცა უკვე 2010 წელს მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 6%-მდე ავიდა, 2011 წელს კი 7%-მდე¹³. (იხ. დანართი #2)

საკვლევი პერიოდის (2012-2017 წლები) შესწავლისთვის, მნიშვნელოვანია შესავლის სახით 2003 დან 2012 წლამდე პოლიტიკურ ხელისუფლებასა და ბიზნეს ელიტებს შორის მიმდინარე ურთიერთობების შესწავლაც, სახელმწიფოს იმ გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება, რაც უკავშირდებოდა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას და ამ პოლიტიკაში ბიზნეს ელიტების როლს.

2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმის გათვალისწინებით, 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები

¹³ იხ. "GDP Growth Rate"

https://www.google.ge/publicdata/explore?ds=d5bncppjof8f9_&ctype=l&strail=false&bcs=d&nslm=h&met_y=n_y_gdp_mktp_kd_zg&scale_y=lin&ind_y=false&rdim=country&idim=country:GEO&ifdim=country&tstart=-111816000000&tend=1466107200000&hl=en&dl=en&ind=false

(მოძიებულია 1.06.2018)

საგრძნობლად მცირდებოდა და ძალაუფლება მეტწილად პარლამენტის ხელში გადადიოდა (მაცაბერიძე, პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში, 2018).

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი, ჯოელ ლაზარუსი, რომელიც საკუთარ ნაშრომში - “ნეოლიბერალური სახელმწიფოს მშენებლობა და დასავლური “დემოკრატიის წინ წამოწევა”: საქართველოს მაგალითი”, უარყოფს საქართველოს დემოკრატიზაციას და მიუთითებს, რომ ნაცვლად დემოკრატიის მხარდაჭერისა, დასავლურმა საგარეო პოლიტიკამ და დიპლომატიურმა სტრატეგიებმა გამოიწვიეს სახელმწიფოში კონკურენტული ავტორიტარიზმის გაძლიერება, ხელი შეუწყეს პოლიტიკურ არეულობას და კონფლიქტს, შესაბამისად, დაეხმარნენ მთავრობებს ძალაუფლების გამყარებაში, ხოლო ბოლო მმართველ ელიტას : “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” ნეოლიბერალური სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაში (Lazarus, 2010, გვ. 1).

ლაზარუსი საკუთარ კვლევაში არაერთხელ ციტირებს ლევიცკის და ვეის “კონკურენტული ავტორიტარიზმის” (Levitsky & Way, 2010) თეორიას. ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით დიდი პოტენციალი აქვს - ეს პოტენციალი გამოუყენებელია, რაც გარღვევის ნაკლებ ალბათობას ქმნის სხვა რესპუბლიკებში.

ამის დასამტკიცებლად ავტორი ამბობს რომ საქართველო არის “კონკურენტული ავტორიტარიზმის” ტიპის რეჟიმი, სადაც ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პლურალიზმს და შეჯიბრებითობას, პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით შესუსტებულია მმართველი პარტიის მიერ, ოპოზიციური პარტიები კი ემორჩილებიან მმართველი პარტიის თამაშის წესებს. შესაბამისად, კონკურენტული ავტორიტარიზმის ტიპის პოლიტიკური ინსტიტუტები არსებობენ დომინანტური პარტიული სისტემის ჩარჩოებში (Lazarus, 2010, გვ. 10).

2003 წლიდან დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს ლაზარუსი კრიტიკულად აფასებს, ლაზარუსის თქმით, ახალი მთავრობის ეკონომიკური განვითარების ხედვა იყო საერთაშორისო კაპიტალისტის ლიბერალური უტოპიის შექმნა, რათა მომხდარიყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, გადასახადების და ბიზნესის

გარშემო გატარებულმა რადიკალურ ზომებმა კი ხელი შეუწყო “ელიტური კორუფციის” აყვავებას, შეიზღუდა ადგილობრივი ბიზნესი, ის დაექვემდებარა სახელისუფლებო ელიტის კონტროლს, უცხოური კომპანიები კი ჰარმონიულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მმართველ ელიტასთან. მაშინ როდესაც ადგილობრივი ბიზნესმენების საკუთრების უფლება ხშირად ირღვეოდა, ოფშორულ თუ უბრალოდ უცხოურ კომპანიებს მსგავსი პრობლემები არ ექმნებოდათ (Lazarus, 2010, გვ. 17).

ლაზარუსის მიხედვით, საქართველოში ავტორიტარული ინსტიტუტები ნეოლიბერალურ ინსტიტუტებთან იყო შერწყმული, რეალურად, სახელმწიფოში მართლაც არსებობდა ბიზნეს ელიტებისთვის ინსტიტუტის შექმნის გამოცდილებაც, კერძო საარბიტრაჟო ინსტიტუტის სახით 2005 წელს, თუმცა ეს ინსტიტუტი მალევე გაუქმდა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რამაც ხელისუფლება და რიგი ბიზნეს ჯგუფები დაპირისპირების რეჟიმში გადაიყვანა. ქვემოთ გაშლილია კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის გარშემო სახელმწიფოს და ბიზნეს ელიტებს შორის მიმდინარე დაპირისპირების დეტალები.

კერძო არბიტრაჟის პრინციპი საქართველოში 1997 წლიდან 2010 წლამდე არსებობდა (საქართველოს პარლამენტი, 1997). 1997 წელს გამოცემული კანონის მიხედვით, კერძო არბიტრაჟი შეიძლებოდა ყოფილიყო მუდმივმოქმედი ან დროებითი, საგანგებოდ დავისთვის შექმნილი ინსტიტუტი, რომლის წევრობის უფლებაც არ ექნებოდა პოლიტიკური თანამდებობის პირს ან სახელმწიფო მოსამსახურეს.

ედუარდ შევარდნაძის მიერ 1997 წელს გამოცემული ეს კანონი საფუძვლად დაედო 2005 წელს კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის შექმნას რომელსაც სახელმწიფოს და ბიზნეს სუბიექტებს შორის საგადასახადო დავები უნდა განეხილა, საგადასახადო კოდექსი კი საგადასახადო უწყებას ავალდებულებდა დავების არბიტრაჟში განხილვაზე დათანხმებულიყო, პრემიერ მინისტრის, ზურაბ ჟვანიას თქმით, 2005 წლის ახალი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება სწორედ კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის შემოღება იყო (მაცაბერიძე, 2006, გვ. 59).

ხელისუფლების დამოკიდებულება კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის მიმართ მალევე შეიცვალა. არბიტრაჟის ამოქმედება ახალი პრემიერ მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, სამი წლით გადავადდა. მოქმედების პერიოდში, არბიტრაჟში მიმდინარე დავები სახელმწიფომ კერძო კომპანიებთან წააგო, ამ მხრივ მნიშვნელოვანია კომპანია “თელასთან” დამარცხება, ასევე სხვა მიმდინარე დავები, რაც ჯამში სახელმწიფოს 80 მილიონამდე ლარის დაკარგვის საფრთხეს უქმნიდა, ეს საქმეები სასამართლოში გადამისამართდა. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, არბიტრაჟის გადაწყვეტილებები პოლიტიკურად იყო მოტივირებული, პრემიერ მინისტრი ამას არბიტრაჟის შემადგენლობით ხსნიდა, სადაც რესპუბლიკელები, ვახტანგ ხმალაძე და დავით უსუფაშვილი, ასევე კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი, რეზო შავიშვილი შედიოდნენ(მაცაბერიძე, 2006, გვ. 60).

ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც ხელისუფლებამ გაახმოვანა არბიტრაჟის ინსტიტუტის საწინამდებოდ, იყო ის, რომ არბიტრაჟის ინსტიტუტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელს შეუშლიდა იმ სოციალური პასუხისმგებლობების შესრულებას, რაც სახელმწიფოს ჰქონდა აღებული და თუ განაგრძობდა საქმიანობას, საგადასახადოსთან დავები კამპანიურ ხასიათს მიიღებდა, რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკაზე (მაცაბერიძე, 2006, გვ. 60).

3.2 სახელმწიფო, ბიზნეს ინტერესები და საზოგადოება : მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები (2012-2017 წლები)

2012 წელის 2 ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა “ქართულმა ოცნებამ”, რომელმაც დაამარცხა მმართველი პარტია, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”¹⁴, ძალაუფლება პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდიდან გადავიდა მილიარდელი ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო კოალიციაში, რომელიც ბლოკის სახით, უმრავლესობით შევიდა საქართველოს პარლამენტში.

2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმის გათვალისწინებით, 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები

¹⁴ იხ. “არჩევნები 2012, საბოლოო მონაცემები”
<http://results2012.cec.gov.ge/> (მოძიებულია 29.04.2018)

საგრძობლად მცირდებოდა და ძალაუფლება მეტწილად პარლამენტის ხელში გადადიოდა (მაცაბერიძე, პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში, 2018).

2012 წლის 2 ოქტომბრის შედეგების მიხედვით პრეზიდენტი სააკაშვილი ოპოზიციაში აღმოჩნდა, რამაც დააჩქარა პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტება, მიუხედავად იმისა რომ პრეზიდენტს ამ ერთი წლის განმავლობაში პოლიტიკურ პროცესში მნიშვნელოვანი როლის თამაშისთვის მთელი რიგი სამართლებრივი ბერკეტები რჩებოდა.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2012 წლიდან, მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი იკლებს, და 2017 წლამდე 6.35%, 3.39%, 4.62%, 2.88% და 2016 წელს 2.74%-ია¹⁵. (იხ. დანართი#2)

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2013 წლის თებერვალში იწყება დაანონსებული “საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის” იმპლემენტაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოს წილს ჯანდაცვის სფეროში, ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ნახევარი მილიარდი იხარჯება მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ეს რეფორმა პირველი მკვეთრი ნაბიჯია სახელმწიფოს საჯარო პასუხისმგებლობების აღიარების გზაზე.

ოპოზიციაში გადასული “ნაციონალური მოძრაობა” ეკონომიკურ პრობლემებს მთლიანად “ქართული ოცნების” არასწორ პოლიტიკას აბრალებდა და ოპონენტებს აკრიტიკებდა, როგორც არაპროფესიონალებს, “ნაციონალური მოძრაობის” სამიზნე კი ხშირად “ქართული ოცნების” მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამები იყო, მაგალითად, “საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა”, რომელიც 2013 წლის თებერვალში, მთავრობის დადგენილებით ამოქმედდა (საქართველოს მთავრობის დადგენილება #36, 2013).

ეს პროგრამა ამოქმედებიდან ყოველწლიურად ხელისუფლებას ნახევარი მილიარდი ლარი უჯდება (IDFI, 2016, გვ. 2).

¹⁵ იხ. “GDP Growth Rate”

https://www.google.ge/publicdata/explore?ds=d5bncppjof8f9_&ctype=l&strail=false&bcs=d&nسلم=h&met_y=n_y_gdp_mktp_kd_zg&scale_y=lin&ind_y=false&rdim=country&idim=country:GEO&ifdim=country&tstart=-111816000000&tend=1466107200000&hl=en&dl=en&ind=false

(მოძიებულია 3.06.2018)

თუმცა საზოგადოებაში ამ რეფორმას მეტწილად პოზიტიური შეფასებები მოჰყვა, “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მონაცემებით, გამოკითხული 1918 რესპოდენტიდან 65 % სრულად, ან ნაწილობრივ ენდობა სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტს, 18 % კი უარყოფითად აფასებს მას (IDFI, 2016) (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1 :



წყარო : (IDFI, 2016)

ამგვარად, სახელმწიფოს ინტერვენციონისტული პოლიტიკის პირველი მაგალითი “საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა” იყო, რომელზეც წვდომა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აქვს.

მეორე მნიშვნელოვანი რეფორმა, რასაც ეკონომიკური რეგულაციების შემოღების გზაზე ჩაეყარა საფუძველი - “შრომის ინსპექციის” გამოჩენა იყო. 2015 წლის აპრილში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს ბრძანებით საფუძველი ჩაეყარა “შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის” შექმნას (სერგეენკო, 2015).

ეს ცვლილებები ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიაზე შრომით ბაზარზე არსებული პირობების გასაკონტროლებლად კონკრეტული ინსტიტუტების შექმნას სახელმწიფოს მიერ. ამ ინსტიტუტის მიზანი პირველ რიგში სამუშაო ადგილზე დაქირავებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, თუმცა აღსანიშნავია რომ შრომითი ინსპექციის შესახებ ბრძანების გამოსვლისთანავე, სხვადასხვა

არასამთავრობო ორგანიზაცია ამ აქტს იწუნებდნენ მისი შეზღუდულობის გამო, მაგალითად, ბრძანებიდან 2 წლის შემდეგ, 2017 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახური წერდა, რომ “შრომითი უფლებების დაცვის ძირითადი მექანიზმის ამ ფორმატში არსებობა ნეგატიურად აისახება ქვეყანაში დასაქმებულთა შრომითი უფლებების რეალიზების ხარისხზე” (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2017, გვ.32). აუდიტის სამსახური მიუთითებდა, რომ ინსპექციის მექანიზმები არაეფექტური იყო, ინსპექტორებს კი სანქციების დაკისრების უფლებამოსილება არ ჰქონდათ. (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2017, გვ.29) 2015 წლიდან 2017 წლამდე აღმოჩენილი დარღვევების მხოლოდ 23 %-ის გამოსწორება ადასტურებს მოსაზრებას ინსპექციის სისუსტეზე.

შრომის ინსპექციის წარმატებული იმპლემენტაციის გზაზე აღმოჩენილი უამრავი წინამდდელობის მიზეზი შეგვიძლია სახელმწიფოს უახლოეს წარსულში ვეძიოთ. 2006 წელს გამოსულ შრომით კოდექსში, დასაქმების სტიმულირების მიზნით, მნიშვნელოვნად შესუსტდა შრომითი რეგულაციები, რამაც გააძლიერა დამსაქმებლის უფლებამოსილებები დასაქმებულის უფლებები კი პირიქით, შეიკვეცა (საქართველოს პარლამენტი, 2006). ცნობილი ბრიტანელი მკვლევარი, სტივენ ჯონსი წერს, რომ ამ რეფორმამ “ვერ გაამართლა” (ჯონსი, 2012, გვ. 275).

2006 წლის შრომითი კოდექსი იყო დერეგულაციური პოლიტიკის ერთ-ერთი აქტი - იმ, რასაც სახელმწიფო ატარებდა 2003 დან 2012 წლამდე.

2006 წელს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა საკვლევი პრობლემის გამომწვევ წინაპირობებზე, ამ წელს მიიღეს კაპიტალისთვის სასურველი შრომითი კოდექსი, სადაც სახელმწიფოს როლი შესუსტდა და პოლიტიკურმა ელიტამ შრომითი ურთიერთობების პრობლემებიდან შედარებით დისტანცირება არჩია, ამავე წელს, რამდენიმე თვის დაგვიანებით ტყიბულის სამთო-მომპოვებელი მრეწველობა ახალ სიცოცხლეს იწყებს “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” საკუთებაში.

2011 წლიდან ტყიბულის შახტები სრულიად ამუშავებულია, ამუშავებულია ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა, მარტო 2011 და 2012 წელს ტყიბულში 850 000 ტონა ქვანახშირი მოიპოვეს¹⁶.

ტყიბულის შახტები 1998 წლიდან პრივატიზაციის შედეგად, სააქციო საზოგადოება "ტყიბულნახშირის" საკუთრება იყო. ეს სააქციო საზოგადოება დაარსდა 1998 წლის ნოემბერში¹⁷, 2005 წელს კომპანია გაკოტრდა და სახელმწიფომ ტენდერი გამოაცხადა აქციების გაყიდვის მიზნით¹⁸, თუმცა გაზეთ „24 საათის“ 2006 წლის ივნისის თვის ნომერში ვკითხულობთ, რომ 2006 წლის მაისში, "ტყიბულნახშირი" სახელმწიფომ 1 910 000 დოლარად მიჰყიდა "საქინვესტს"¹⁹ რომელიც "საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში" შემავალი ერთ-ერთი კომპანიაა, "ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანასთან" და "საქნახშირთან" ერთად.

"მწვანე ალტერნატივის" ანგარიშში, "პრივატიზაციის ფარული მხარეები", ვკითხულობთ, რომ "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" თავის მხრივ, მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიის, "ჩემექსიმ ინტერნეშენალის" საკუთრებაა (გუჯარაიძე, 2014).

2006 წლიდან დღემდე, ტყიბულის შახტების უდიდესი ნაწილი "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" მფლობელობაშია, მათ შორის "მინდელის შახტაც", რომელზეც საწარმოო პროცესში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევების უდიდესი

¹⁶ იხ. "ტყიბულის ქვანახშირის მალარო და მასთან დაკავშირებული პრობლემები"
<http://greenalt.org/%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6/>
(მოძიებულია 28.06.2018)

¹⁷ იხ. "კომპანიის შესახებ"
<http://www.companyinfo.ge/ka/corporations/646067>
(მოძიებულია 28.06.2018)

¹⁸ იხ. "ჭიათურმანგანუმი", "ვარციხეჰესი" და "ტყიბულნახშირი" რუსულ-ავსტრიული კომპანიის საკუთრება ხდება"
<https://radiotavisupleba.ge/a/1539342>
(მოძიებულია 28.06.2018)

¹⁹ იხ. "ტყიბულის ქვანახშირის ლიცენზიისთვის "საქინვესტი" იბრძოლებს"
<http://www.opentext.org.ge/index.php?m=21&y=2006&art=273>
(მოძიებულია 28.06.2018)

ნაწილი მოდის.საინტერესო დამთხვევაა, რომ 2006 წლის მაისში, “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” მიერ ტყიბულის შახტების შესყიდვის პარალელურად, მოხდა “საქართველოს კანონის შრომის კოდექსის” ცვლილებაც, რამაც ფაქტობრივად გააუქმა შრომითი ინსპექტირების მექანიზმები, ინსპექტირების მექანიზმების აუცილებლობა კი პირველ რიგში სწორედ სამთო-მომპოვებელ სფეროში არსებობდა, სადაც წარმოება 1990 წლიდან მოყოლებული 15 წლის განმავლობაში გაჩერებული იყო²⁰.

ტყიბულის სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის პრივატიზაციის პროცესის თანმდევი პრობლემების გარშემო საზოგადოებრივი დისკურსი იმ ტრაგიკული შემთხვევების კვალდაკვალ გაძლიერდა, რამაც 2011 წლიდან დღემდე ათობით მემახტის სიკვდილი გამოიწვია.

2016 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, პირველი დიდი გაფიცვა სწორედ ტყიბულში შედგა, გაფიცულთა მთავარი მოთხოვნა ანაზღაურების 30-40 %-იანი ზრდა და სამუშაო უსაფრთხოების/პირობების გაუმჯობესება იყო²¹.

გაფიცვა, რომელიც 16 დღე გრძელდებოდა, მოლაპარაკებების შედეგად შეწყდა, გაფიცულებმა შრომითი უსაფრთხოების გაუმჯობესების პირობა მიიღეს და ხელფასების 10%-ით ზრდას მიაღწიეს²².

აღსანიშნავია, რომ გაფიცვის პროცესში, დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის მოდერატორის ფუნქციებს სახელმწიფო ითავსებდა, ეს ურთიერთობები კი ზოგჯერ, საკმაოდ დაძაბულ ზღვარს აღწევდა, 2016 წლის 25 თებერვალს, გაფიცულმა მემახტეებმა დაიკავეს “საქნახშირი - ჯი აი ჯი ჯგუფის” ადმინისტრაციული შენობა,

²⁰ იხ. “ტყიბულის ქვანახშირის ლიცენზიისთვის “საქინვესტი” იბრძოლებს”
<http://www.opentext.org.ge/index.php?m=21&y=2006&art=273>
(მომიებულია 29.06.2018)

²¹ იხ. “ტყიბულის გაფიცვა შრომით დავას გასცდა და მასშტაბურ სოციალურ პროტესტად იქცა”
<https://emc.org.ge/ka/products/emc-tqibulis-qafitsva-shromit-davas-gastsda-da-masshtabur-sotsialur-protestad-iktsa>
(მომიებულია 29.06.2018)

²² იხ. “ტყიბულში გაფიცვა შეწყდა”
<http://netgazeti.ge/news/98287/>
(მომიებულია 29.06.2018)

კომპანია ამ ფაქტს გამოეხმაურა და შემთხვევა შეაფასა როგორც “საკუთრების ვანდალური დარბევა და ხელყოფა”²³.

სახელმწიფომ მეტ-ნაკლებად წარმატებით შეძლო მედიატორის როლის მორგება, ტყიბულის დაძაბული სიტუაციიდან გამოყვანა მეტწილად სახელმწიფოს შედეგია, რომელმაც სამმხრივ მოლაპარაკებებში შუამავლის როლი აიღო თავის თავზე.

ბრაიან ბერის “მიუმხრობლობის თეორიის” მიხედვით, კრიზისულ სიტუაციაში სახელმწიფოს სამართლიანი პოზიცია უდიდეს დახმარებას უწევს სოციალური კონფლიქტების დარეგულირებას, ტყიბულის 2016 წლის მაგალითმა აჩვენა რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა გამოიწვია პროტესტის დროებითი ჩაწყნარება, რაში შეიძლება გამოგვადგეს ბერის “მიუმხრობლობის” მეთოდი ? თუ დამქირავებლის და დაქირავებულს შორის კონფლიქტი მუდმივად, დროებითი ზავის პირობებში არსებობს, რამდენად შესწევს ძალა სახელმწიფოს რომ აწარმოოს მაქსიმალურად ყველასთვის უტილიტარული გადაწყვეტილებები ? ტყიბულის დაძაბულობა 2016 წელს არ მორჩენილა, თებერვლის გაფიცვებიდან დღემდე (2018 წელი) ტყიბულში ათეულობით მშრომელი დაიღუპა გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო, სახელმწიფომ კი ამ პრობლემის მოსაგვარებლად ახალი შრომითი კანონმდებლობა შეიმუშავა, რომელსაც დასაწყისშივე უამრავი ხარვეზი აღმოაჩნდა.

2015 წელს, სახელმწიფოს მიერ შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნის მიუხედავად, სამუშაო ადგილებზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი არ შემცირებულა, რასაც ქვემოთ მოცემული ცხრილიც ადასტურებს, მეტიც, 2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2006 წელს მიღებული შრომის კოდექსი მნიშვნელოვნად არც გადახედილა. 2015 წლის ცვლილებები იყო პირველი მკაფიო გამმიჯნავი ხაზი შრომითი რეგულირების უკანასკნელი 10 წლის გამოცდილებასთან, თუმცა ეს ცვლილება რთულია აღქმული იყოს როგორც სტრუქტურული ცვლილება, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზომები არ მიუღია 2016 და 2017 წელს ტყიბულში


²³ იხ. “საქნახშირი ჯი-აი-ჯი : მოხდა კერძო საკუთრების ვანდალური დარბევა და ხელყოფა” <https://bpn.ge/finansebi/20691-qsagakhshiri-ji-ai-jiq-mokhda-kerdzo-sakuthrebis-vandaluri-darbeva-da-khelyofa.html?lang=ka-GE> (მოძიებულია 30.06.2018)

მომხდარი მომხდარი მასშტაბური ტრაგედიების შემდეგაც (არ დაწყებულა სამართლებრივი დევნა დამსაქმებლის მიმართ).

2011 წლიდან 2018 წლამდე, ტყიბულში სამუშაოებს 16 მუშის სიცოცხლე ემსხვერპლა²⁴. 2014 წლიდან სიკვდილიანობის შემთხვევებმა იმატა ტყიბულის გარდა სხვა წერტილებშიც, ჭიათურის მადაროებში იდენტური პრობლემები არსებობდა, თბილისში, საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობას ასევე ათეულობით მშრომელის სიცოცხლე შეეწირა.

საინტერესო ცხრილი აქვს წარმოდგენილი პორტალ ‘ფაქტ-მეტრს’, სადაც 2011 წლიდან 2017 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით, აღწერილია საწარმოო ტრავმებით დაღუპულთა და დასახიჩრებულთა მონაცემები ქვეყნის მასშტაბით²⁵.

ცხრილი 2 :



²⁴ იხ. “მკვლეელი შახტა ტყიბულში - 8 წელში სამუშაოებს 16 მუშა შეეწირა”
<http://www.newposts.ge/?l=G&id=169563-%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98,%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90,%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98>
 (მოძიებულია 30.06.2018)

²⁵ იხ. “საგანგაშო სტატისტიკა, რომელიც ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევაზე მიუთითებს”
<http://factcheck.ge/article/sagangasho-statistika-romelits-qveghanashi-shromis-usaphrthkhoebis-standartebis-darghvevaze-miuthithebs/>
 (მოძიებულია 30.06.2018)

წყარო : ფაქტ-მეტრი

ცხრილის მიხედვით, სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა რიცხვს სტანდარტულად მაღალ მაჩვენებელზე გავყავართ, კიდევ უფრო მეტია დაშავებულთა რაოდენობა, რომელთა დიდი ნაწილიც უმძიმეს ტრავმებს იღებს ინციდენტების დროს. ცხრილის მიხედვით, 2011 წლიდან 2016 წლამდე 270 ადამიანი დაიღუპა სამუშაოს შესრულების პროცესში.

დაღუპულების რაოდენობასთან შეუსაბამოა უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა პასუხისგებაში მიცემული დამსაქმებლების შესახებ. ამ სტატისტიკას “ფაქტ-მეტრი” ცხრილის სახით გვთავაზობს²⁶.

ცხრილი 3 : უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის (სსკ-ის 240-ე მუხლი) გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები

| წლები | საქმე | პირი | შეეფარდა თავისუფლების აღკვეთას |
|--------------|-------|------|--------------------------------|
| 2012 | 25 | 31 | 2 |
| 2013 | 10 | 17 | |
| 2014 | 18 | 19 | 2 |
| 2015 | 23 | 27 | |
| 2016 | 20 | 24 | 4 |
| 2017 (6 თვე) | 12 | 12 | 1 |

წყარო : ფაქტ-მეტრი

ცხრილის მიხედვით ჩანს, რომ პრევენციული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ უსაფრთხოების წესების დარღვევის შემდეგ ხდება კონკრეტული საქმეების გამოძიება. ამ საქმეების უდიდეს ნაწილში კი

²⁶ იხ. “საგანგაშო სტატისტიკა, რომელიც ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევაზე მიუთითებს”
<http://factcheck.ge/article/sagangasho-statistika-romelits-qveqhanashi-shromis-usaphrthkhoebis-standartebis-darghvevaze-miuthithebs/>
(მოძიებულია 1.07.2018)

ბრალდებულების მიმართ სასჯელი მსუბუქია, 6 წლის განმავლობაში მხოლოდ 9 ადამიანს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო და ეს მაშინ, როდესაც მხოლოდ დაღუპულების რაოდენობა 270-ს აჭარბებს.

2006 წელს, მაისში საქართველოს შრომის კოდექსი შეიცვალა ბიზნესის სასარგებლოდ, შეიზღუდა შრომის ინსპექტირების მექანიზმები, სახელმწიფომ ბიზნესსა და დასაქმებულს შორის შრომით ურთიერთობებში საკუთარი როლი მაქსიმალურად შეამცირა.

ეს ფაქტი, შესაძლოა, ადასტურებდეს კონკრეტული ბიზნეს-ელიტის, ამ შემთხვევაში “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” გავლენას საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკაზე დროის მოცემულ მონაკვეთში (2006 წლის მაისი), როდესაც სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ტენდერის შედეგად საქართველოში სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი საწარმოები ქალაქ ტყიბულში სწორედ ამ კომპანიის საკუთრებაში გადავიდა.

აღსანიშნავია, რომ “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” მფლობელი დავით ბეჟუაშვილია. დავით ბეჟუაშვილის ძმა, გელა ბეჟუაშვილი 1991 წლიდან იმყოფებოდა სხვადასხვა მაღალ სახელისუფლებო თანამდებობაზე, ხოლო 2005-2008 წლებში გელა ბეჟუაშვილი საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყო.

“საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” კვლევაში იდენტიფიცირებულია როგორც პოლიტიკური ძალაუფლების მქონე აქტორი, რომლის გავლენაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარეობს, ამ საქმიანობის შედეგი კი საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოა, რაც სოციალურ პროტესტებშიც ხშირად აისახება.

“საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” ასევე მონაწილეობდა როგორც მხარე “გაერთიანებული პროფკავშირების” მიერ ორგანიზებულ სამმხრივ შეხვედრაზე 2018 წლის აპრილში.

ამ ფორმატში სახელმწიფო, “გაერთიანებული პროფკავშირები” და “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” ტყიბულის მადარობის რეაბილიტაციის

საკითხს განიხილავდნენ²⁷, ეს შეხვედრა ჩაინიშნა ამავე წლის 5 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც ტყიბულში საწარმოო ტრაგედიას ექვსი მემახტის სიცოცხლე შეწირა²⁸, აღსანიშნავია, რომ თავად ტყიბულელი მემახტეები ამ შეხვედრაზე არ მიიწვიეს, პროფესიული კავშირების რიგებშიც მათი წარმომადგენელი არ ყოფილა, ამიტომ, შეიქმნა მემახტეთა საინიციატივო ჯგუფი²⁹, რომელმაც გამოაქვეყნა მოთხოვნები “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” დაქვემდებარებული კომპანიის, “საქნახშირის” მიმართ³⁰.

მემახტეთა ჯგუფმა ოფიციალურად გამოუცხადა უნდობლობა პროფკავშირებს, იმ მიზეზით რომ ისინი არ ასრულებენ იმ მოვალეობებს, რაც მათ ევალებათ, რომ პროფესიული კავშირები არ ინტერესდებიან ტყიბულში არსებული ვითარებით

აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ პროფკავშირების, სახელმწიფოს და ბიზნესის (ამ შემთხვევაში “საქნახშირის”) სამმხრივი ფორმატის შეხვედრიდან დასაწყისშივე გამოირიცხა ტყიბულის მემახტეთა ჯგუფის მონაწილეობა, ეს ჯგუფი უშუალოდ არის დაინტერესებული ტრიპარტიული ინსტიტუტის მუშაობით, რასაც საბოლოო შედეგად შახტებში მინიმუმ შრომითი უსაფრთხოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეტანა უნდა მოჰყვეს, მშრომელებსა და პროფესიულ კავშირებს შორის შეუთანხმებელი ქმედება მიუთითებს პროფკავშირების ინსტიტუტის სისუსტეზე, მსგავსი ხარვეზები ჩეხეთის, უნგრეთის და სლოვაკეთის მაგალითებზე არ გვხვდება, იქ პროფესიული კავშირები უფრო კოორდინირებულად მოქმედებენ.

²⁷ იხ. “მდაროელების და მემახტეების საკითხთან დაკავშირებით სამმხრივი კომისიის სხდომა გაიმართება”

<http://www.interpressnews.ge/ge/sazoqadoeba/488760-maqharoelebisa-da-meshakhteebis-sakithkhtan-dakavshirebith-sammkhri-vi-komisiis-skhdoma-gaimartheba.html?ar=A>

(მომიებულია 3.07.2018)

²⁸ იხ. “ტყიბულელი მემახტეები ხვალ “გლოვის ღამეს” გამართავენ”

<http://netgazeti.ge/slideshow/266187/>

(მომიებულია 3.07.2018)

²⁹ იხ. “ტყიბულის შახტთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობაზე მემახტეებს უარი უთხრეს”

<https://imedinevs.ge/ge/saqartvelo/57844/tkibulis-shakhttan-dakavshirebul-diskusiashi-monatsileobaze-meshakhtebs-uari-utkhres>

(მომიებულია 3.07.2018)

³⁰ იხ. “ტყიბულელ მემახტეებს საქნახშირის მიმართ მოთხოვნები აქვთ”

<https://imedinevs.ge/ge/saqartvelo/57300/tkibulel-meshakhtebs-saqnakhshiris-mimart-motkhovnebi-aqvt>

(მომიებულია 4.07.2018)

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ტრიპარტიზმს, როგორც ინსტიტუციას დიდი ისტორიული გამოცდილება არ გააჩნია, 2008 წელს პროფკავშირები, დამსაქმებლები და სახელმწიფო ხელს აწერენ სამმხრივ შეთანხმებას სოციალური თანამშრომლობის შესახებ, მოგვიანებით, 2010 წელს კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიას, ამ კომისიის მონაწილე მხარეები იყვნენ საქართველოს მთავრობა, დამსაქმებელთა გაეთიანებები და პროფესიული კავშირები, კომისიას კი საქართველოს შრომის, ჯანდაცვის და სპორტის მინისტრი ხელმძღვანელობდა, თითოეულ მხარეს კი ხუთი წევრი წარმოადგენდა (გოგელაშვილი, 2010, გვ. 160).

პროფესიული კავშირების კონფედერაცია (ახლანდელი გაერთიანებული პროფკავშირები) დასაწყისშივე მიესალმნენ სოციალური დიალოგის პროექტს, პროფესიული კავშირების ვიცე-პრეზიდენტი, გოჩა ალექსანდრია (ის ახლაც ამ თანამდებობას იკავებს) აღნიშნავდა სოციალური დიალოგის აუცილებლობას, თუმცა ამბობდა რომ პროექტი ნელი ნაბიჯებით მიდის წინ, თუმცა მცირე წარმატებების მიღწევა მაინც შესაძლებელი იყო. ტრიპარტიზმის განვითარებას საქართველოში ლობირებდა “შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია” (გოგელაშვილი, 2010, გვ. 162).

2017 წლის იანვარში, ცნობილი გახდა რუსთავის აზოტის საწარმოდან 300-ზე მეტი მშრომელის გათავისუფლების შესახებ, ეს გადაწყვეტილება შპს “რუსთავის აზოტის” ქონების გაყიდვის შემდეგ, ახალმა კომპანიამ, სააქციო საზოგადოება “რუსთავის აზოტმა” მიიღო, რომელმაც ახალი კონტრაქტები არ გაუფორმა ქარხანაში დასაქმებულ მუშებს.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფების, პროფკავშირების, თავად გათავისუფლებული მშრომელების მიერ გაიმართა არაერთი აქცია³¹ ³², მშრომელები ადმინისტრაციასთან შეხვედრას და ახალი კონტრაქტების გაფორმებას ითხოვდნენ.

³¹ იხ. “რუსთავის აზოტის გათავისუფლებული მშრომელების პროტესტი და ადმინისტრაციის პასუხი” <http://go.on.ge/8q6>

(მოძიებულია 4.07.2018)

³² იხ. “აზოტის დათხოვნილი მუშები დანებებას არ აპირებენ”

<https://www.radiotavisupleba.ge/a/28294710.html>

(მოძიებულია 4.07.2018)

სააქციო საზოგადოება "რუსთავის აზოტი" "ეუ ინვესტმენტის" მფლობელობაში მყოფი კომპანიაა, მალევე გახმაურდა, რომ "ეუ ინვესტმენტის" აქციების 100% დაგირავებული და ბლოკირებული იყო საქართველოს ბანკის მფლობელი ჰოლდინგის, "ბი-ჯეო ჯგუფის" სასარგებლოდ, ამიტომ, მშრომელების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 17 თებერვალს აქცია გაიმართა თბილისში, "საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალთან, აქტივისტების თქმით, "რუსთავის აზოტის" რეალური მფლობელი საქართველოს ბანკი იყო³³.

აღსანიშნავია რომ ამ პროცესში სახელმწიფო პირველივე დღეებიდან ჩაერთო³⁴, თუმცა აღმასრულებელ ხელისუფლებას პრობლემის გადასაწყვეტად ეფექტური ნაბიჯები არ გადაუდგამს, სკოკპოლის, ევანსის და რაშმაიერის მიერ აღწერილ ავტონომიურ აქტორად სახელმწიფო ბიუროკრატია არ იმუშავა, ვლადიმერ პაპავა საქართველოს ხელისუფლების უმთავრეს პრობლემად არასწორ საკადრო პოლიტიკას ასახელებს, მისი თქმით, ხელისუფლებაში, საკვანძო თანამდებობებზე "მენეჯერების" დანიშვნა ვერასდროს მოიტანს დადებით შედეგს, რადგანაც სახელმწიფოს მართვა და კერძო კომპანიის მართვა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული საქმეებია, პაპავას მიხედვით, ხელისუფლებაში "მენეჯერების" მოყვანა მხოლოდ ქართული ფენომენი არ არის, ეს ხდება როგორც პოსტკომუნისტურ სივრცეში, ასევე დასავლეთის დემოკრატიებშიც (იხ. დანართი #1).

სააქციო საზოგადოება "რუსთავის აზოტმა" გათავისუფლებულ მშრომელებს სამი თვის მანძილზე, თითო თვეში 400 ლარიანი კომპენსაცია შესთავაზა, პროტესტის შეწყვეტის სანაცვლოდ, 56 მშრომელის გარდა, მათი უმრავლესობა ამ შემოთავაზებას დასთანხმდა, დანარჩემმა 56-მა მშრომელმა კი სარჩელი სასამართლოში შეიტანა, დავა წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა, მშრომელებმა ეს დავა მოიგეს, კომპანიას 56

³³ იხ. "რა აკავშირებს "რუსთავის აზოტის" მფლობელ კომპანიას საქართველოს ბანკთან" <http://netgazeti.ge/news/174160/>

(მოძიებულია 5.07.2018)

³⁴ "სს "რუსთავის აზოტის" საქმეზე მედიაციის პროცესი გრძელდება"

<http://www.moh.gov.ge/news/2895/>

(მოძიებულია 5.07.2018)

თანამშრომლის სამსახურში დაბრუნება და მათთვის განაცდურის ანაზღაურება დაევალა³⁵.

მშრომელების ინტერესებს საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების იურიდიული დეპარტამენტი იცავდა³⁶.

2006 წლიდან, საქართველოში განსაკუთრებით აქტიურდება დეველოპერული საქმიანობა, საბანკო კაპიტალი იწყებს დეველოპერული საქმიანობის დაფინანსებას³⁷, თუმცა სამშენებლო ბიზნესზე გავლენა იქონია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, 2011 წლისთვის, დეველოპერული კომპანიები მნიშვნელოვან კრიზისში აღმოჩნდნენ, ამ პერიოდში დაახლოებით 150 სამშენებლო ობიექტზე შეჩერებული იყო სამუშაოები³⁸.

დეველოპერები თავად აღნიშნავენ, რომ სიტუაცია 2012 წელს “შემოტრიალდა”, “არქი ჯგუფის” დირექტორი, ილია წულაია 2014 წელს აცხადებდა, რომ ბაზარზე გამოცოცხლება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეინიშნებოდა, უძრავი ქონების მსხვილ პროექტებს კი საფუძველი 2013 წელს ჩაეყარა, დეველოპერული კომპანია “აქსისის” მონაცემებით, 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, მათი მშენებლობების მოცულობა 250 %-ით გაიზარდა³⁹.

შეიძლება ითქვას, რომ 2014 წელი იყო ხელახალი სტარტი ქართული სამშენებლო კომპანიებისთვის, ამავე წლის მისში, საქართველოს მთავრობის

³⁵ იხ. “რუსთავის აზოტს 56-მა გათავისუფლებულმა თანამშრომელმა სასამართლო დავა მოუგო”
<http://liberali.ge/news/view/35348/rustavis-azots-56ma-gatavisuflebulma-tanamshromelma-sasamartlo-dava-mougo>

(მომიებულია 5.07.2018)

³⁶ იხ. “აზოტელებს” სასამართლო პროცესი”

<https://gtuc.ge/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%9E/>

(მომიებულია 5.07.2018)

³⁷ იხ. “სამშენებლო ბუმი საქართველოში და ცვლილებების დრო”

<http://thouze.ge/new/1949-samsheneblo-bumi-saqartveloshi-da-cvlilebebis-dro>

(მომიებულია 5.07.2018)

³⁸ იხ. “დაუსრულებელი სამშენებლო ბუმი”

<https://www.kvirispalitra.ge/deda-tbilisi/7218-dausrulebeli-qsamsheneblo-bumiq.html>

(მომიებულია 5.07.2018)

³⁹ იხ. “2012 წლის არჩევნების შემდეგ სამშენებლო ბიზნესი მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა”

<http://reportiori.ge/old/geworld.ge.?menuid=11&id=14148>

(მომიებულია 5.07.2018)

დადგენილებით, ძალაში შედის დადგენილება #361, რომელიც მშენებლობებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვას შეეხებოდა (საქართველოს მთავრობა, 2014).

ეს დადგენილება 18 მუხლად აწესებდა 100-ზე მეტ რეგულაციას, რისი შესრულების შედეგადაც მინიმუმამდე დავიდოდა უსაფრთხოების ნორმების დარღვევები სამშენებლო კომპანიების მიერ, თუმცა როგორც აღმოჩნდა, პრაქტიკაში ამ რეგულაციებს ხშირად არ ითვალისწინებდნენ, რიგი პრობლემები კი დადგენილების მიღმა დარჩა.

2014 წლიდან, მშენებლობების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, გახშირდა სამუშაო ადგილზე მომხდარი ტრაგედიების რიცხვი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მონაცემებით, 2011 წლიდან 2016 წლის ბოლომდე სამუშაო ადგილებზე 776 ადამიანი დაშავდა და 270 დაიღუპა, 2017 წლის პირველი ათი თვის მონაცემებით კი დაღუპულთა რიცხვი 26-ით გაიზარდა⁴⁰.

2017 წლის ოქტომბერში, ხელისუფლების მიერ გამოიცა რეგლამენტი, რაც სპეციალურ მოთხოვნებს აყენებდა სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოებისთვის, რეგლამენტი ითვალისწინებდა ხარაჩოების, დამცავი მოაჯირების, სპეციალური ბადეების მოწყობას⁴¹.

2018 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო “კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ” (საქართველოს პარლამენტი, 2018), რის მიხედვითაც ამოქმედდა რეგულაციები დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლებამოვალეობების გარშემო⁴².

კანონში ვკითხულობთ რომ ეს კანონი ვრცელდება მომატებულ საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, კანონი ავალდებულებს დამსაქმებელს რომ დაიცვას დასაქმებულების შრომითი უფლებები, უზრუნველყოს

⁴⁰ იხ. “შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი სამშენებლო კომპანიებს მიმართავს”
<https://imedineews.ge/ge/ekonomika/34199/shromis-inspeqtirebis-departamenti-samsheneblo-kompaniebs-mimartavs>

(მოდირებულია 6.07.2018)
⁴¹ იხ. “სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ რეგლამენტი ამოქმედდა”
<https://imedineews.ge/ge/saqartvelo/34030/simagleze-mushaobis-usaprtkhoebis-motkhovnebis-shesakheb-reglamenti-amogmedda>

(მოდირებულია 6.07.2018)
⁴² იხ. “პარლამენტმა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი მიიღო”
<http://liberali.ge/news/view/34816/parlamentma-shromis-usaftrkhoebis-shesakheb-kanoni-miigho>
(მოდირებულია 6.07.2018)

მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო, დასაქმებულს კი ანიჭებს უფლებას განიხილოს დამსაქმებელთან შესასრულებელი სამუშაოს შრომითი უსაფრთხოების ყველა საკითხი, მოითხოვოს ექსპერტების მოწვევა საშიშროების გასაზომად, უარი თქვას იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც სარისკოა უსაფრთხოების კუთხით, მოითხოვოს კომპენსაცია სამუშაო სივრცეში მიღებული ზიანისთვის, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული სამუშაო პირობების შემსუბუქება (საქართველოს პარლამენტი, 2018).

კანონპროექტში ასევე გამოყოფილია ის დასაქმების სფეროები, რომელთა შემოწმების უფლებაც შრომის ინსპექციას ექნება, ესენია : 1. მშენებლობა და სამშენებლო მასალების წარმოება; 2. სამთო-გეოლოგიური სამუშაოები; 3. მეტალურგიული წარმოება; 4. ელექტროენერგეტიკა; 5. ნავთობისა და გაზის მრეწველობა; 6. ქიმიური წარმოება; 7. ლითონდამუშავება; 8. მინის წარმოება; 9. მერქნის დამამუშავებელი წარმოება; 10. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა; 11. ტრანსპორტი (რკინიგზა, მეტროპოლიტენი, საზღვაო ნავსადგურები, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტი)⁴³.

აღსანიშნავია, რომ კანონის მიღებამდე ერთი თვით ადრე, განხილვების პერიოდში პროცესს საქართველოს ბიზნესომბუდსმენი გამოეხმაურა, მან ხუთ პუნქტიანი რეკომენდაციების ნუსხა გამოაქვეყნა.

პირველ პუნქტში ბიზნესომბუდსმენი მიუთითებს, რომ კანონპროექტის ეფექტურობისთვის საჭიროა სანქციების ოდენობის და კომბინაციის ადეკვატურად ჩამოყალიბება, რეკომენდაციაში მითითებულია, რომ სანქციები დიდ ტვირთს არ უნდა წარმოადგენდეს ბიზნესისთვის⁴⁴.

კანონის გამოქვეყნების შემდეგ, კანონპროექტს გამოეხმაურა "ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრიც (EMC)", ორგანიზაციის შეფასებაში ვკითხულობთ რომ საკანონმდებლო პაკეტი ადეკვატურად ვერ პასუხობს ქვეყანაში არსებულ ვითარებას, ამის მიზეზი კი პირველ რიგში მისი მოქმედების

⁴³ იქვე

⁴⁴ იხ. "ბიზნესომბუდსმენი შრომის უსაფრთხოების კანონზე : სანქციების ოდენობა დიდ ტვირთს არ უნდა აკისრებდეს ბიზნესს"

<http://go.on.ge/ky7>

(მოძიებულია 7.07.2018)

შეზღუდული სფეროა, რაც დასაქმებულების დიდ ნაწილზე შრომითი სტანდარტების გავრცელებას გამორიცხავს⁴⁵.

ტყიბულის, ჭიათურისა და სამშენებლო სფეროში არსებული შრომითი უსაფრთხოების პრობლემებიდან გამომდინარე, "EMC" განსაკუთრებით კრიტიკულად განიხილავს კანონს, ორგანიზაცია განმარტავს, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საზედამხედველო ორგანოს (შრომით ინსპექციას) არ გააჩნია უპირობო დაშვება სამუშაო ადგილებზე, არამერჩევითი კონტროლის განხორციელებისას საჭიროა სასამართლოს შესაბამისი ბრძანება, რაც აბრკოლებს ეფექტური კონტროლის შესაძლებლობას, ამ შეზღუდვით შრომის საზედამხედველო ორგანოს ხელიდან ეცლება მყისიერი რეაგირების მექანიზმი⁴⁶.

ეს ანგარიში მიუთითებს რომ კანონი კვლავ არ არის თავისუფალი ხარვეზებისგან, სამუშაო ადგილებზე დაშვების ნაწილში არსებული უზუსტობა აშკარად სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ბიზნესელიტებისთვის, ამ დეტალით, როცა სამუშაო ადგილებზე დასაშვებად სასამართლოს სანქციის აუცილებლობაზე კეთდება აქცენტი, სახელმწიფო პრაქტიკულად მნიშვნელოვნად ამცირებს ბიზნესელიტებისთვის სერიოზული სანქციების დაწესების შესაძლებლობას, მეტიც - ამ შემთხვევაში სახელმწიფოერთის მხრივ უშუალოდ იღებს საკუთარ თავზე რეგულაციების საკანონმდებლო ბაზისის მომზადებას, ამტკიცებს დოკუმენტს, რომლის შინაარსიც წინამდებეობაში მოდის ბიზნესელიტების ინტერესებთან, თუმცა ამავდროულად სახელმწიფო იცილებს მყისიერი ქმედების შესაძლებლობას და გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას სასამართლოს აკისრებს.

⁴⁵ იხ. "ადამიანთა უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - "შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შეფასება"

<https://emc.org.ge/ka/products/shromis-usaftrkhebis-shesakheb-sakartvelos-kanonis-proektis-shefaseba>
(მომიებულია 7.07.2018)

⁴⁶ იხ. "ადამიანთა უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - "შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შეფასება"

<https://emc.org.ge/ka/products/shromis-usaftrkhebis-shesakheb-sakartvelos-kanonis-proektis-shefaseba>

დასკვნა :

ცივი ომის დასრულების შემდეგ, პოსტსოციალისტური სამყარო ხანგრძლივი დემოკრატიული ტრანზიციების პროცესში გადავიდა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგი სახელმწიფო შედარებით მარტივად იწყებს მნიშვნელოვან გარდაქმნებს, ჩეხეთის, სლოვაკეთის და უნგრეთის მაგალითებმა გვაჩვენეს, რომ ამ სახელმწიფოებმა შეძლეს კომუნისტურ პერიოდში არსებული ინსტიტუტების მოდერნიზაცია, კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში კი ძირითადად წარმატებით გაართვეს თავი იმ სოციალურ კონფლიქტებს, რასაც ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური კონფიგურაცია ქმნიდა, ამას ადასტურებს სახელმწიფოს, ბიზნესსა და დასაქმებულებს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობები, როდესაც სახელმწიფო ცდილობდა მაქსიმალურად უტილიტარული შედეგების შექმნას ახალი კაპიტალისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ანტაგონიზმების ფონზე, სირთულეების არსებობის მიუხედავად, ტრანზიციებით გამოწვეული პრობლემების გარშემო ყველა პოსტკომუნისტური სახელმწიფოს ერთად განხილვა დაუშვებელია.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო აქტორების როლი, რამაც უდიდესი გავლენა იქონია პოსტკომუნისტური სახელმწიფოების ცალკეული განვითარების ტენდენციებზე, მაგალითად : უნგრეთში, სლოვაკეთსა და ჩეხეთში განხორციელდა უცხოური კაპიტალის უზარმაზარი მოცულობით ინვესტიცია, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ სახელმწიფოების განვითარებაზე, ვაშინგტონის კონსესუსით გაწერილი რეკომენდაციები ყველა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოზე თანაბრად მოქმედებდა თუმცა ადგილობრივი ელიტების პოზიციებმა არანაკლები როლი შეასრულეს პოსტკომუნისტური ევროპის განვითარებაში.

საქართველოს სახელმწიფოში ტრანზიცია უზარმაზარი კატასტროფების კვალდაკვალ მიმდინარეობდა, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტები არ აღმოჩნდნენ მზად სიტუაციის სამართავად, სეცესიური ეთნიკური კონფლიქტების და წლობით გაგრძელებული სამოქალაქო დაპირისპირების პარალელურად, საქართველოში იწელებოდა ინსტიტუციების ჩამოყალიბების პროცესიც, თუ ჩეხეთში, სლოვაკეთსა და უნგრეთში მოხერხდა არსებული საწარმოო საშუალებების შენარჩუნება, მათი რაციონალური პრივატიზების გზით, ისე, რომ სამუშაო

ადგილების დანაკარგი მინიმალური იყო, საქართველოში ტრანზიციის პერიოდში გაჩერდა მრეწველობის მთელი სფეროები, საწარმოო საშუალებების დიდი ნაწილი კი გაიყიდა.

გეოგრაფიული მდგომარეობა და ისტორიული მეხსიერება დაეხმარა უნგრეთს, ჩეხეთსა და სლოვაკეთს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის წარმატებით განხორციელებაში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ხაზსუსვამს საკუთარ დასავლურ (ევროპულ) პოლიტიკურ იდენტობას, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის განსხვავებული წარსული (თუნდაც კომუნისტური და არა საბჭოთა) ტრანზიციის პერიოდში საქართველოსთვის განსხვავებულ პრობლემებს აწარმოებს.

დასავლურ სამყაროში მეტი ინტეგრაციის, უცხოურ კაპიტალზე მეტი დამოკიდებულების მიუხედავად, ჩეხეთის, სლოვაკეთის და უნგრეთისგან განსხვავებით, პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტის ფონზე, საქართველო უფრო მეტად მოწყვლადი აღმოჩნდა ნეოლიბერალური რეფორმებისთვის, რაც ხშირად საბაზრო ფუნდამენტალიზმის სახეს იძენდა, ამას ადასტურებს შრომითი კანონმდებლობის ისტორიაც, 2006 წელს, შრომით კანონმდებლობაში დასაქმებულთა უფლებების რადიკალური შეკვეცა გათვლილი იყო კერძო სექტორისთვის მაქსიმალურად სასარგებლო პირობების შექმნაზე.

აღსანიშნავია, რომ რეგულაციების საჭიროებების შესახებ მსჯელობის დაბრუნებას საქართველოში რამდენიმე მიზეზი აქვს, პირველ რიგში ეს არის გააქტიურებული საპროტესტო მოძრაობები, სადაც სამოქალაქო აქტივისტები, მშრომელები და სტუდენტები ერთიანი ძალებით იწყებენ ბრძოლას კონკრეტული მიზნების მისაღწევად, აქტიურ საპროტესტო კერებში ჩნდება სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობაც, ევანსის და რაშმაიერის “სახელმწიფოს ავტონომიურობის თეორიის” მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის მხრივ პოზიტიური როლის შესრულება, თუ ის უარს იტყვის იყოს “დომინაციის ინსტრუმენტი” და გაითავისუფლებს თავს საზოგადოების ყველაზე მაღალი ფენების გავლენისგან, ევანსის და რაშმაიერის მიხედვით, ამისთვის ეფექტური შეიძლება იყოს ძლიერი ბიუროკრატიული აპარატის შექმნა.

რთულია, ვისაუბროთ ბიოროკრატის გაძლიერების შანსებზე როდესაც ვსაუბრობთ პოსტსაბჭოთა საქართველოზე, სადაც ტრანზიციის პერიოდში საწარმოო საშუალებებისგან დაცლას ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების ხშირად ეკლექტური რეფორმები ემატებოდა, მმართველი გუნდები ხშირად ერეოდნენ პოლიტიკურ პროცესში როცა ამის საჭიროება არ იყო და გადიოდნენ პოლიტიკური პროცესიდან როცა მათი ჩარევა მნიშვნელოვანი იყო, თუმცა კვლევაში მოცემული ემპირიული მასალა გვამღევეს იმის მტკიცების საფუძველს რომ საქართველოში მმართველი ელიტები და ბიზნეს ელიტები მჭიდროდ თანამშრომლობენ, ზოგჯერ კი ერთ ძალასაც წარმოადგენენ (პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, მის მიერ შექმნილი კოალიცია (შემდგომში პარტია) ქართული ოცნება), შესაბამისად, ბიზნესისა და სახელმწიფოს თანაარსებობით წარმომოხილი ევანსის და რაშმაიერისეული "დომინაციის პაქტის" შესუსტება, ავტორების მიხედვით ისევ სახელმწიფო ძალაუფლების მქონე განვითარებული ბიუროკრატიული აპარატით თუ შეიძლება.

ტყიბულსა თუ რუსთავეში, თბილისში - სამშენებლო სამუშაოებზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, ოფიციალურ დონეზე რიგი რეგულაციების სახით, თუმცა საზოგადოებრივი ჯგუფები ხაზს უსვამენ მიღებული გადაწყვეტილებების არა საკმარისობას, არა ეფექტურობას, სმითის და სვენისეული "დისკურსული რეგულაცია" (Smith & Swain, 1998), რაც საზოგადოებრივი პროტესტის ფონზე, გარკვეული საკითხის გარშემო მრავალმხრიდან შეთანხმებას გულისხმობს, პრაქტიკულად ბოლომდე არ არის მიყვანილი.

აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი ბიზნეს-ჯგუფების მდგომარეობას რეგულაციებამდე და რეგულაციების შემდეგ, საზოგადოებრივი პროტესტის კერების პარალელურად, ევროასოციირების პროცესიც სახელმწიფოს ავალდებულებს შრომითი სფეროს რეგულირებას, დასაქმებულთა უფლებების და უსაფრთხოების დაცვას, შეგვიძლია დავინახოთ, თუ რამდენად მოახდინეს გავლენა ბიზნესელიტებმა პრობლემური საკითხების გარშემო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, მაგალითად : 2018 წელს მიღებული შრომის

კანონმდებლობა არ ქმნის მყისიერი ქმედების საშუალებას პრობლემური ინდუსტრიების მიმართ, არ აძლევს საშუალებას შესაბამის უწყებებს რომ შეამოწმოს კონკრეტული ინდუსტრიები სასამართლოს ნებართვის გარეშე, შესაბამისად, რეგულაციის ეს დეტალი ააშკარავებს ამ რეფორმის სისუსტეს, ეს რეგულაცია მიღებულ იქნა ისე, რომ ბიზნესელიტების ინტერესები მინიმალურად შეილახა, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი ინტერეს-ჯგუფები (მშრომელები, სამოქალაქო აქტივისტები) აბსოლუტურად უკმაყოფილოები იყვნენ შრომის კოდექსის ამ ფორმულირებით, ფაქტობრივად, მოთხოვნილი რეფორმა არ შედგა, სახელმწიფომ უარი თქვა პასუხისმგებლობის სრულ გაზიარებაზე და ის საკანონმდებლო ხელისუფლებას უწილადა.

რა საშუალებები გამოიყენეს ბიზნესელიტებმა სასურველი შედეგების მისაღწევად ? აღსანიშნავია რომ პრობლემურ კომპანიას, ამ შემთხვევაში “საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს” საქართველოს ხელისუფლებაში ჰყავდა დაახლოებული პირები ახლანდელი პირველი პირის, მამუკა ბახტაძის სახით, რომელიც 2013 წლამდე სწორედ “ჯი-აი-ჯგუფის” მფლობელობაში მყოფ კომპანიას ხელმძღვანელობდა, 2013 წლიდან 2017 წლამდე სახელმწიფო რკინგის დეპარტამენტის უფროსის, 2017 დან 2018 წლამდე ფინანსთა მინისტრის, 2018 წლიდან კი პრემიერ მინისტრის თანამდებობას იკავებს.

არსებული პრობლემის მხოლოდ კერძო პირებამდე დაყვანა არარელევანტურია, თუმცა აღსანიშნავია, რომ კერძო და საჯარო სფეროს შორის მოშლილი საზღვრები, რაც ბიზნესმენების არსებული რაოდენობითაც გამოიხატება საპარლამენტი უმრავლესობასა და უმცირესობაში (დღეის მონაცემებით საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 41 მილიონერია⁴⁷).

ეს მოცემულობა ადასტურებს ევანსის და რაშმაიერის “დომინაციის პაქტის” კონცეფციას, რის მიხედვითაც, სახელმწიფო ძალაუფლება უმაღლესი ეკონომიკური კლასების იარაღია და მის ინტერესებს ემორჩილება, ამ თეორიით შეგვიძლია ავხსნათ

⁴⁷ იხ. “41 დეკლარირებული მილიონერი პარლამენტში, რა ქონებას ფლობენ ქართველი დეპუტატები” <https://www.ambebi.ge/article/192505-41-deklarirebuli-milioneri-parlamentshi-ra-konebas-ploben-kartveli-deputatebi/> (მოძიებულია 8.07.2018)

ის პრო-საბაზრო ტენდენციები, რაც თუნდაც რეგულაციების შესახებ ახალშექმნილ დოკუმენტებში აღინიშნება.

არსებული რეალობის მიუხედავად, სახელმწიფოს, ბიზნესსა და მშრომელებს შორის არსებული სამმხრივი მოლაპარაკებების პრაქტიკა პოზიტიური მომავლისთვის გარკვეულ წინაპირობებს ქმნის, “შრომის ინსპექციის” აღდგენა, და “შრომის შესახებ კანონის” მიღება მიუხედავად ხარვეზებისა, აუმჯობესებს მშრომელების მდგომარეობას და შრომითი უსაფრთხოების მეტ შესაძლებლობას აჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. IDFI. (2016). *საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გამოწვევები და მათი დაძლევის გზები*. თბილისი.
2. *2017 Migration Profile of Georgia*. (2017). Tbilisi: State Commission on Migration Issues.
3. Acemoglu, D., & Robinson, J. (2006). *Economic Origins of Dictatorship and Democracy*. New York: Oxford University Press.
4. Barry, B. (1995). *Justice as Impartiality*. New York: Oxford University Press.
5. Dunford, M. (1998). Differential Development, Institutions, Modes of Regulation and Comparative Transition to Capitalism (Russia, The Commonwealth of Independent States and the former German Democratic Republic). In A. Smith, & J. Pickles, *Theorising Transition : Political Economy of Post-Communist Transformation*. London: Routledge.
6. Elster, J., Offe, C., & Preuss, U. K. (1998). *Institutional Designs in Post-Communist States*. Cambridge: Cambridge University Press.
7. Evans, P. B., & Rueschemeyer, D. (1985). The State and Economic Transformation: Toward an Analysis of the Conditions Underlying Effective Intervention. In D. Rueschemeyer, & P. B. Evans, *Bringing The State Back In*. Cambridge: Cambridge University Press.
8. Goodin, R. E. (1995). *Utilitarianism as a Public Philosophy*. Cambridge: Cambridge University Press.
9. Hall, P., & Soskice, D. (2001). *Varieties of Capitalism : The Institutional Foundation of Comparative Advantage*. New York: Oxford University Press.
10. Kitschelt, H., Mansfeldova, Z., Markowski, R., & Toka, G. (1999). *Post-Communist Party Systems : Competition, Representation and Inter-Party Cooperation*. New York: Cambridge University Press.
11. Lazarus, J. (2010). Neo-Liberal State Building and Western "Democracy Promotion" : the case of Georgia. *Pan-European Conferention on International Relations*. Stockholm: St Anthony's College .
12. Levitsky, S., & Way, A. (2010). *Competitive Authoritarianism : The Emergence and Dynamics of Hybrid Regimes in the Post-Soviet Era*. New York: Cambridge University Press.

13. Moore, T. G., & Leube, K. (1986). In *The Essence of Stigler*. Stanford, California: Hoover Institution Press.
14. Nolke, A., & Vliegenthart, A. (2009, October). Enlarging The Varieties of Capitalism : The Emergence of Dependent Market Economies in East Central Europe. *World Politics* , 61.
15. Schumpeter, J. (1954). *History of Economic Analysis*. Great Britain: Allen & Unwin Ltd.
16. Smith, A., & Pickles, J. (1998). *Theorising Transition : The Political Economy of Post-Soviet Transformations*. London: Routledge.
17. Smith, A., & Swain, A. (1998). Regulating and Institutionalising Capitalisms : The Microfoundations of Transformation in Eastern and Central Europe. In A. Smith, & J. Pickles, *Theorising Transition : The Political Economy of Post-Communist Transitions*. London: Routledge.
18. Stigler, G. (1986). Theory of Economic Regulation. In T. G. Moore, & K. Leube, *The Essence of Stigler*. Stanford: Hoover Institute Press.
19. Stiglitz, J., & Serra, N. (2008). *Washington Consensus Reconsidered*. New York: Oxford University Press.
20. Timm, C. (2013). *Economic Regulation and State Interventions. Georgia's Move from Neoliberalism to State Managed Capitalism*. Berlin: Private Hochschule Gottingen.
21. Weinberger, K. (2015, September). Armenia's Constitutional Reforms : Forward Movement or Momentous Fallacy ? . *Regional Studies Center* , pp. 1-6.
22. Williamson, J. (2008). A Short History of Washington Consensus. In J. Stiglitz, & N. Serra, *The Washington Concensus Reconsidered*. New York: Oxford Univesity Press.
23. გოგელაშვილი, ლ. (2010). შრომის ბაზარი და სოციალური დიალოგი საქართველოში. In *ვუახლოვდებით ევროპას ? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში* (pp. 160-161). თბილისი: ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი.
24. გუჯარაიძე, ნ. (2014). *პრივატიზაციის ფარული მხარეები*. თბილისი: მწვანე ალტერნატივა.
25. მაცაბერიძე, მ. (2006). *ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში (2003-2006 წწ)*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
26. მაცაბერიძე, მ. (2018). *პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში*. თბილისი.
27. საქართველოს მთავრობა. (2014). *მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე*. თბილისი.

28. (2013). *საქართველოს მთავრობის დადგენილება #36*. თბილისი.
29. საქართველოს პარლამენტი. (1997). *საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ*. თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
30. საქართველოს პარლამენტი. (2018). *საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ*. თბილისი.
31. საქართველოს პარლამენტი. (2006). *საქართველოს შრომის კოდექსი*.
32. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2017). *დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის მექანიზმები*.
33. სერგეენკო, დ. (2015).
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-10/ნ. თბილისი.
34. ჯონსი, ს. (2012). *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. თბილისი.

დანართი #1

ინტერვიუ ეკონომისტ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასთან 23.05.2018

ინტერვიუერი - გიორგი ბერიძე

გ.ბ - რას გვეტყოდით, რა ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლების გამოკვეთა შეგვიძლია საქართველოს პოსტკომუნისტური ტრანზიციის ანალიზისთვის ?

ვ.პ - იცით, არის ისეთი მახასიათებლები, რაც საერთოა ნებისმიერი კომუნისტური ქვეყნისთვის და არის ისეთი მახასიათებლები, რაც განასხვავებს ამ ქვეყნებს, მაგალითად : აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, როდესაც დაიწყო გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე, ქვეყნებს გააჩნდათ თავიანთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებული სახელმწიფოებიდან სახელმწიფო ინსტიტუცია ჰქონდა მხოლოდ რუსეთს, იმიტომ რომ რუსეთი იყო სამართალმემკვიდრე საბჭოთა კავშირის, სხვა დანარჩენ რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს, სახელმწიფო ინსტიტუციები შესაქმნელი ჰქონდა, ანუ, საქართველო აღმოჩნდა და კიდევ 13 სხვა მოკავშირე რესპუბლიკა იმ ორი ამოცანის ერთდროულად გადაწყვეტის წინაშე, როცა საჭირო იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაც და სახელმწიფო ინსტიტუციების მშენებლობაც, რაც მთავარია, ეს თავიდან გააზრებული არ იყო, ეს იყო რთული, ამას დაემატა აგრეთვე ის, რომ საქართველო ნებისით თუ უნებლიედ აღმოჩნდა ჩართული სამხედრო კონფლიქტებში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტებში ქვეყანა მონაწილეობდა ისე, რომ მას არ გააჩნდა სამხედრო ინსტიტუციებიც კი, არ ჰქონდა რეალურად ჩამოყალიბებული თავდაცვის სამინისტრო, არ ჰქონდა შესაბამისად ორგანიზებული სამხედრო ძალები, ამას დაემატა ის რომ ამ პერიოდში სერიოზული პრობლემები იყო სახელმწიფო ბიუჯეტში, ჯარის სამხედრო მოქმედებების დაფინანსების წყარო ქვეყანას არ გააჩნდა, აი ეს ყველაფერი ერთად უნდა განვიხილოთ როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს საკმაოდ რთული გზის დასაწყისზე.

გ.ბ - საინტერესოა პრივატიზაციის პროცესის დეტალები, რას გვეტყვი, რამდენად იქონია გავლენა პრივატიზაციის პროცესმა დღევანდელ სიტუაციაზე და რამდენად სწორი გზით ხდებოდა საქართველოში პრივატიზაციის პროცესი ?

ვ.პ - არსად არ მომხდარა სწორი გზით პრივატიზაციის პროცესი, აბსოლუტურად არსად, მარტივი მიზეზის გამო, პრივატიზაციის თეორია არ არსებობდა მაშინ, როდესაც დაწყებულ იქნა პრივატიზაცია, ანუ - რა არის სწორე, ეს არავინ იცოდა, როცა არ არსებობს რა არის სწორე, ბუნებრივია რაც არ უნდა გავაკეთოთ არ ვიცით რომ ეს შეცდომაა, შესაბამისად ეს შეცდომა მოგვიანებით იჩენს თავს, ეკონომიკა ამ ქმედებით ვითარდება თუ არ ვითარდება, ფაქტიურად საქართველოში ისე დაიწყო პრივატიზაცია, კერძო საკუთრებაზე გადასვლა სახელმწიფო საკუთრებიდან, რომ პრივატიზაციის მწყობრი თეორიული კონსტრუქცია რა როგორ გაკეთებულიყო უბრალოდ ბუნებაშიარ არსებობდა, მაგრამ ზუსტად ასე არ არსებობდა სხვაგანაც, ამიტომ რა შეიძლება ითქვას, დაშვებული იყო თუ არა შეცდომები - დღევანდელი გადასახედიდან ასეა, შეცდომები იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ქართული პრობლემა არ არის.

გ.ბ - 2006 წელს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში შემოიღეს კანონმდებლობა, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად შემცირდა "შრომის ინსპექცია", სახელმწიფომ უკან დაიხია დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის არსებული შრომითი ურთიერთობებიდან, ამავე პერიოდში გადადის ტყიბულის სამთო-მომპოვებელი მრეწველობა "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" საკუთრებაში, რამდენად სწორი იყო ეს ნაბიჯი 2006 წელს, რამდენად გათვლილი იყო იმ შედეგებზე, რაც ჩვენ მივიღეთ წლების შემდეგ თუნდაც შრომითი უსაფრთხოების კუთხით ?

ვ.პ - შეიცვალა შრომის კანონმდებლობა, მიღებულ იქნა ახალი შრომის კოდექსი, სადაც პრაქტიკულად გარანტირებული იყო დაქირავებულის უფლებები და არანაირად დაცული არ იყო დაქირავებულის უფლებები, ამ შრომის კოდექსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ გაუქმდა შრომის ინსპექცია, რაც შეეხება განვითარებულ მოვლენებს, "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" მე უშუალოდ არ შემისწავლია,

მაგრამ შრომის კანონმდებლობის მიღებას და პრივატიზაციის შემთხვევებს პირდაპირ ვერ დავაკავშირებთ, ერთი საკითხია, რამდენად კანონიერად და სამართლიანად ხდება პრივატიზაცია, მეორე არის თუ რამდენად დაცულია შრომის უფლებები, ამიტომ, თუ ჩვენ ავიღებთ კანონმდებლობას, "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ეს კანონმდებლობა სრული სამართლებრივი ნორმების დაცვლით შეცვალა, მაგრამ რამდენად არის დაცული მშრომელთა უფლებები, ეს უკვე სხვა საკითხია, მშრომელთა უფლებები არ იყო დაცული არა მხოლოდ "საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფში", არამედ არსად სხვაგან, იმიტომ რომ შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა დაქირავებულის უფლებებს.

გ.ბ - რას იტყოდით უნგრეთის, ყოფილი ჩეხოსლოვაკიის და საქართველოს გამოცდილებაზე ეკონომიკური ინსტიტუტების მშენებლობის კუთხით ? რა განსხვავებები იყო ამ ორ მაგალითს შორის ?

ვ.პ - ჩეხეთში, სლოვაკეთსა ბულგარეთში სახელმწიფო ინსტიტუტები არსებობდა, ამიტომ საჭირო გახდა ამ ინსტიტუტების ტრანსფორმაცია და საბაზრო ეკონომიკაზე მორგება, საქართველოში ინსტიტუტები არ არსებობდა, უნგრეთს ჰქონდა თავის ცენტრალური ბანკი, უშვებდა საკუთარ მონეტას, იქ რეფორმა როდესაც ჩატარდა, ამოიღეს საბჭოური და კომუნისტური სიმბოლიკა, ეროვნული ვალუტა კი დატოვეს, საქართველოში კი მსგავსი ვერ მოხდებოდა, საქართველოს არ ჰქონდა ცენტრალური ბანკი, საქართველოს უნდა შეექმნა ცენტრალური ბანკი, ამიტომ ამ ორი გამოცდილების შედარება შეუძლებელია, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია ასე თუ ისე სარგებლობდნენ სუვერენიტეტით, ჰქონდთ საზღვრები და საბაჟოები, საქართველოს კი ეს არ გააჩნდა, ამიტომ დროთა განმავლობაში, საქართველოში დაიწყო ამ ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

გ.ბ - რისი თქმა შეიძლება შრომითი კანონმდებლობის შესახებ, ახდენენ თუ არა ბიზნეს ინტერესები გავლენას კანონმდებლობაზე ?

ვ.პ - ფაქტია რომ დღეს დასაქმებულების უფლებები გათვალისწინებული არ არის, ეს დიდი პრობლემაა.

გ.ბ - დღეს ბიზნესელიტების წარმომადგენლები გვხვდებიან საქართველოს ხელისუფლებაშიც, არიან ბიზნესელიტები ვინც უფრო ირიბად არჩევენ საკუთარი ინტერესების დაცვას, რას იტყვით ამ ტენდენციაზე ?

ვ.პ - ეს პრობლემა ყველგან გვხვდება, მაგალითად თუნდაც აშშ-ში, დონალდ ტრამპი აგრეთვე ბიზნესმენია, ეს ტენდენცია მხოლოდ საქართველოში და პოსტკომუნისტურ სივრცეში არ გვხვდება, დავიწყეთ აშშ-დან, რას აკეთებს ტრამპი ? ანგრევს მსოფლიო წესრიგს, აშენებს კედელს აშშ-სა და მექსიკას შორის 21-ე საუკუნეში, ეს არავითარ ლოგიკაში არ ჯდება.


ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, პოლ კრუგმანმა 20-30 წლის წინ დაწერა ბროშურა, "რატომ არ არის ქვეყანა კომპანია", დრო და დრო ჰარვარდის უნივერსიტეტი აქვეყნებს ამ ბროშურას, რა განსხვავებაა ქვეყანას და კომპანიას შორის ? როგორ უნდა იმართებოდეს ქვეყანა და როგორ უნდა იმართებოდეს კომპანია, აი მაგალითად, გავრცელებულია საქართველოში და არამართო საქართველოში რომ მთავრობას ჭირდება კარგი მენეჯერი, ეს ფორმულა უკვე შეცდომაა, იმიტომ რომ ჩვენ მენეჯერები კიარ გვჭირდება, გვჭირდება მმართველები, არის მენეჯმენტი და არის მართვა (governance), მენეჯერებს ამზადებს ბიზნეს ადმინისტრირება, ხოლო მმართველებს საჯარო ადმინისტრირების სკოლა, ამიტომ მენეჯერების ყოფნა მთავრობაში დანაშაულია, არ შეიძლება მენეჯერი იყოს ხელისუფლებაში, მენეჯერი უნდა იყოს ბიზნესში, და რატომ, მისი ხედვა, რომ კომპანიამ მეტი მოგება მოიტანოს, რომ კომპანიის ღირებულება გაიზარდოს, აქ არ გვადგება, მაშინ როდესაც ქვეყნის მართვის მიზანი არ შეიძლება იყოს ის, რომ ქვეყანა წარუმატებელია როგორც ბიზნეს-სუბიექტი, მიზანი უნდა იყოს ის, ხალხის კეთილდღეობის ზრდა, რის ხარჯზე - მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხარჯზე, როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერი ? არ არსებობს კომპლექსური ხედვა, ამიტომ, ბიზნესიდან მოსული ხალხი, ვინც კი ხელისუფლებიდან მოსულა, პრაქტიკულად ეს ყოველთვის წარუმატებელი შედეგით მთავრდება, ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებაში მე ვერ გავიხსენებ ვერცერთ დადებით შემთხვევას, როდესაც ბიზნესიდან მოსულმა ადამიანმა შეძლო წარმატების მიღწევა თუნდაც მმართველობის რომელიმე პატარა დარგში, ეს პრინციპულად შეუძლებელია. იმიტომ კი არა რომ მენეჯერები ცუდი ადამიანები არიან, არა,

უბრალოდ მათი მსოფლმხედველობა, მათი განათლება, ფასეულობები სულ სხვა რამეა, მათი ადგილი ბიზნესშია,


დგას ერთი საკითხი, თუ ჩვენ მენეჯერები გვჭირდება, რაში გვჭირდება პროფესიონალი, ჭირდება თუ არა ჯანდაცვის მინისტრს სამედიცინო განათლება, ჭირდება თუ არა იუსტიციის მინისტრს იურიდიული განათლება, ჭირდება თუ არა ეკონომის მინისტრს ეკონომიკური განათლება, ჩვენ საქართველოში გვჭონია მრავალი შემთხვევა, როდესაც ჯანდაცვის მინისტრს არ ჰქონია სამედიცინო განათლება, თავდაცვის მინისტრს - სამხედრო, სოფლის მეურნეობის მინისტრს - აგრარული, ან ენერგეტიკის მინისტრს, ისინი კარგი მენეჯერები იყვნენ თუ ცუდი მენეჯერები, ეს კიდევ ცალკე საკითხია, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი, როგორც მენეჯერების ხედვა იყო დანაშაული, იმიტომ რომ მენეჯერების ადგილი არ არის ხელისუფლებაში, ეს ფორმულა სწორია არა მარტო საქართველოსთვის, ნებისმიერი ქვეყნისთვის, დაწყებული აშშ-სგან.

დანართი #2 (ცხრილები და რუკები)

ცხრილი #1 უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებითი მოსახლეობის პროცენტული წილი (წყარო : მსოფლიო ბანკი)




ცხრილი #2 უნგრეთის, საქართველოს, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მშპ-ს ზრდის დინამიკა (წყარო : მსოფლიო ბანკი)



ცხრილი #3 : პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბირჟა ქვეყნების მიხედვით (წყარო : OECD)

FDI stocks Outward / Inward, % of GDP, 2017 or latest available Source: Benchmark definition, 4th edition (BMD4): Foreign direct investment: positions, main aggregates



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Beridze

Political Decision-making Process and Business Elites in Georgia
(2012-2017)

Political Science

Master thesis is prepared to obtain master degree in Political Science

Course supervisor: Associate Professor: Salome Dundua

Tbilisi

2018